საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 68 (88) | შაბათი, 6 აპრილი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

სააღდგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს:

„საგალობელ ყავთ სახელი უფლისა, რამეთუ დიდებულნი ქმნა, ამცნეთ ესენი.., ყოველსა ქვეყანასა“

(ესაია, 12,5).

„მშვიდობა თქვენთანა“, — პირველად ამ სიტყვებით აკურთხა აღდგომილმა მაცხოვარმა თვისი მოწაფენი. ამ სიტყვებითვე მიმართავს იგი დღეს მთელ კაცობრიობას, ბოროტების, წყვდიადში, ომისა და ძალადობის მორევში ჩანთქმულ თითოეულ ჩვენგანს. და თუ შენ ქრისტიანი ხარ, გახსენ გულის კარი და იგრძნობ, უფლის ეს დალოცვა, როგორ უწამლებს შენი სულის შეუხორცებელ, ღია ჭრილობებს.

„ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრებაი... ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისსა და სასოებაი მისი არს უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა“ (ფსალმუნი 145, 3, 5).

ჭეშმარიტად, ერთადერთი იმედი და მხსნელი ჩვენი არის უფალი.

ძმანო და დანო ჩემნო, უფლის იმედით და სიყვარულით აღვსილი გულითადად გილოცავთ პასქის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღსდგა!

გწამდეთ ღვთისა და სასოებდეთ მას და ტანჯვა თქვენი სიხარულად შეგეცვლებათ.

წმიდა მამების სწავლებით, სულის ხსნის გზა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

უნდა განვეშოროთ ცოდვას;

ხოლო თუ შევცოდებთ, სინანულით უნდა განვიწმინდოთ;

მაგრამ თუ გულწრფელად ვერ მოვინანიებთ, მწუხარებას შეგვამთხვევს უფალი, რათა დანაშაული გამოვისყიდოთ.

ჩვენი უმრავლესობა, ალბათ, მესამე კატეგორიას ეკუთვნის, ამიტომაც განსაცდელი და მწუხარება არ გვტოვებს. მაგრამ გვწამს, მაცხოვარივე მოგვცემს ძალას მათ დასაძლევად. მთავარია, შეჭირვების ჟამს არ დავკარგოთ ღვთისაგან ნაბოძები მადლი, მადლი სიყვარულისა და მუდამ გვახსოვდეს წმიდა ბასილი დიდის სიტყვები: ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით შეიძლება უწამლო.

წარსული თავისი ცოდვა-მადლით უკვე განგვეშორდა. ჩვენ ახლა აწმყოსა და მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

ერთ-ერთმა დიდმა მეცნიერმა სიტყვა „დღეს“ ქვაზე ამოკვეთა და საწერ მაგიდაზე დადო, რათა თავისი თავისთვის მუდამ შეეხსენებინა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი დღევანდელი დღეა, დღეს მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ყველაფერი კარგი და დიადი, რადგან ხვალ შეიძლება უკვე გვიანი იყოს. თუ ამ წესით ვიცხოვრებთ, ჭეშმარიტ გზაზე დავდგებით.

ჭეშმარიტების ძიება ადამიანის სულის თვისებაა და ეს პროცესი მას აუცილებლად მიიყვანს ღმერთამდე — აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე და მოყვასის სიყვარულამდე. ჭეშმარიტების გარეშე არ არსებობს მომავალი, არ არსებობს ნამდვილი სიხარული, ცხოვრებას არა აქვს აზრი. უფალი ბრძანებს: „იცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ (იოანე 8,32).

დღეს თითოეული ჩვენგანი ოცნებობს თავისუფლებასა და მშვიდობაზე. სუვერენული სახელმწიფო — ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გვესმის ადამიანთა საუბრისას. ის კი გვავიწყდება, რომ ამასთან ერთად სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სამართლიანი. სამართლიანობის გარეშე, რწმენისა და სიყვარულის გარეშე, მშვიდობა ვერ დამყარდება. ქვეყანა, რომელიც ამ კანონებით არ ცხოვრობს, ჯოჯოხეთად იქცევა თავისივე ხალხისთვის. სრულყოფილი და სამართლიანი სახელმწიფო რომ შევქმნათ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები უნდა აღვზარდოთ სიყვარულის, რწმენისა და სამართლიანობის პრინციპით. მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, საიდან და როგორ დავიწყოთ აღზრდა.

ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ფსიქოლოგები თვლიან, რომ ამ საქმეს ბავშვის დაბადების პირველი დღიდანვე უნდა შევუდგეთ, ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია ცოდნის მიცემასთან ერთად გრძნობათა აღზრდაზეც ვიზრუნოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გულის კულტურას. გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი, აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. ჩვენი გონება გარედან მიღებულ ინფორმაციას აგზავნის გულში; აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რომელიც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გრძნობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა.

ასე რომ, გულში ყალიბდება და მწიფდება პიროვნების ზნეობრივი საფუძვლები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენენ თავს.

წმიდა მეფე დავითმა, ფსალმუნთა შემქმნელმა, მშვენივრად იცოდა გულის მნიშვნელობა; ამიტომაც შესთხოვს შემოქმედს: „გული წმიდაი დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“ (ფსალმუნი 50,12).

გული — ეს არის ადამიანის ყველაზე დიდი სიწმინდე. იგია კვარცხლბეკი უზენაესისა, ტაძარი სულისა წმიდისა. ამიტომაც ასე მიმართავს უფალი თითოეულ ჩვენგანს: „მომეც მე, შვილო, გული შენი“ (იგავნი 23,26).

ამის შესახებ დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობთ, რომ მშობლები ანდა პედაგოგები როცა შვილს, ან მოსწავლეს ამა თუ იმ კეთილ რჩევას აძლევენ, ხშირად მათი ნათქვამი რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. უფროსების დარიგება, ახსნა, მტკიცება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფოა, რადგან თავიდანვე დაშვებული აქვთ ერთი დიდი შეცდომა: მათ ვერ შეძლეს ბავშვის გულის კარის გაღება. გული კი მხოლოდ სიყვარულით იხსნება.

მშობლებმა თუ მასწავლებლებმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახურონ და გასაღებიც მის ხელში იქნება: გააღე გული, შედი შიგ, დაამყარე წესრიგი და შენი ჯეროვნებით განალაგე ყოველი; ხელს შემშლელი არ გეყოლება.

მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია: იგი გაცილებით იმაზე მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია. ადამიანებს შორის ხომ, გარდა ხილულისა, თვალისთვის შეუმჩნეველი სულიერი კავშირიც მყარდება.

მაინც რა არის სიყვარული?

შესანიშნავად წერს ფილოსოფოსი პლატონი: „ერთიანობის, მთლიანობის დაუოკებელი სურვილი და მისდამი სწრაფვა არის სიყვარული“ (პლატონი მ. 1990, ტ. II, გვ. 120). მაგრამ სიყვარულის არსს ყველაზე ღრმად და ნათლად მაინც წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი განმარტავს: „საყვარელნო, ვიყვარებდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყვარული ღმრთისაგან არს და ყოველმან, რომელსა უყვარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ (I იოანე 4,8).

სიყვარულით უნდა აღვზარდოთ და სიყვარული უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს. ადამიანის სიცოცხლის მთავარი აზრი ის არის, რომ უყვარდეს სხვა, უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ბუნება, უყვარდეს კეთილნი და ბოროტნი, უყვარდეს ყველა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი; აუცილებელია, სხვებსაც ვუყვარდეთ.

რით დავიწყოთ? — ყველაზე მცირით, ერთი ადამიანით.

შენს დამოკიდებულებას ამ პიროვნებისადმი უნდა განსაზღვრავდეს არა ვალდებულება, არამედ სიყვარული, მასთან სულიერი ერთობის სურვილი. სხვა ადამიანში, თუნდაც ყველაზე შეუმჩნეველში, ან ცოდვით დაცემულში, უნდა ეძიო, დაინახო ღვთის ბრწყინვალების ანარეკლი, — მისი კარგი თვისებები და ასე შეიყვარო იგი.

შენს მოქმედებას საფუძვლად სიყვარული დაუდე და გახსოვდეს: მთავარი ის კი არ არის, რამდენს გაიღებ გაჭირვებულის დასახმარებლად, არამედ ის, თუ სიყვარულის რა წილს ჩადებ შენს მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეში. ღვთის სახელით სიყვარულით აღსრულებული კეთილი საქმე მეტად დიდი მადლია წინაშე უფლისა.

ამ ეპისტოლეში მინდა შევეხო ჩვენი მოზარდი თაობის პრობლემას, აღზრდის საკითხს ოჯახსა და სკოლაში, საშუალო სკოლის საგანმანათლებლო კურსს და იმ ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხს, რომელიც დღეს დგას ჩვენს წინაშე.

პრობლემები ბევრია და ხშირად არც ვიცით, საიდან დავიწყოთ მათი მოგვარება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოზარდების მიმართ დიდად სცოდავს როგორც ოჯახი, მშობლები, ისე სკოლა და პედაგოგები.

ოჯახზე რომ ღვთის ლოცვა-კურთხევა გადმოვიდეს, ცოლ-ქმარს აუცილებლად ტაძარში უნდა ჰქონდეს ჯვარი დაწერილი; ხოლო თუ ისინი ჯვარდაუწერელნი არიან, მათი ურთიერთობაც და შვილებიც უკანონოა და ღვთის კურთხევის მადლს მოკლებულნია.

[illegible] აღზრდისას ყველაზე დიდი [illegible]მი მშობლების პირადი მაგალითია. იმ ოჯახში, სადაც ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა, სადაც მშობლები კეთილსინდისიერად შრომობენ, ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავენ, ცდილობენ დაეხმარონ გაჭირვებულებს; იქ, სადაც არავინ არავის არ უყვარს, არ უბრმობს, არ ატყუებს... იზრდებიან ასეთივე კეთილი თვისებების მქონე პიროვნებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შვილების ქრისტიანულ აღზრდას. დღესდღეობით მრავალი სექტა არსებობს: ბაპტისტების, ორმოცდაათიანელების, ევანგელისტების, იეღოველების, აღმოსავლურ რელიგიათა წარმომადგენლების: ბუდისტების, ინდუისტების, კრიშნაიტებისა და სხვათა. ისინი ცდილობენ გაავრცელონ თავიანთი ცრუ სწავლება, ეწევიან აქტიურ პროპაგანდას და ხშირად მიზანსაც აღწევენ, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რადგან მათ ოჯახიდან არა აქვთ მიღებული საჭირო რელიგიური აღზრდა, არ იცნობენ მართლმადიდებლობას და მტკიცედ არ დგანან თავის სარწმუნოებაზე. უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ძალა, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის რწმენა, წესები და ტრადიციები, რომელიც უფალმა მოციქულებს დაუტოვა. ამიტომაც ჩვენი ეკლესია იწოდება სამოციქულო ეკლესიად და იგი დღემდე იცავს ერთიანი, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის მრწამსსა და ტრადიციებს.

„მრწამს... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, — ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოში, რომელიც წმიდა მამათა მიერ I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ჩამოყალიბდა. ამიტომაც დიდ ცოდვასა და დანაშაულს სჩადიან ისინი, რომელნიც სტოვებენ მართლმადიდებლობას და სხვა სექტებში გადადიან. თვითონ სიტყვა „მართლმადიდებლობა“ ანუ მართლად, სწორად დიდება ღვთისა, ჩვენი ეკლესიის ჭეშმარიტებაზე მეტყველებს.

ამის შესახებ იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ შევახსენოთ, მარტო მართლმადიდებლურად მონათვლა არ არის საკმარისი, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება, რათა ვიგრძნოთ ძალა და მადლი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და არასდროს განვეშოროთ მის ჭეშმარიტ გზას.

ოჯახის წევრები უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს: უნდა მარხულობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა ლოცულობდნენ; აუცილებელია შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ტაძარში სიარული, სინანულითა და აღსარების საიდუმლოს მადლით ცოდვათაგან სულის განწმედა, ხშირად ზიარება, ყოველ წელს სახლის კურთხევა, აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა სულებისათვის სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დღეებში ლოცვა. ასეთი ოჯახი, როგორც ამბობს წმიდა მოციქული პავლე, იქცევა „სახლის ეკლესიად“ და დაივანებს იქ უფალი და დაიცავს მას მშვიდობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით.

მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახში უფროსები ხშირად არასწორად იქცევიან. ისინი კერპსავით ეთაყვანებიან თავიანთ შვილებს, რაც ღვთის საწინააღმდეგოა, განსაკუთრებულად ზრუნავენ მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ აღზრდაზე, ცდილობენ აუცილებლად მისცენ საშუალო და უმაღლესი განათლება; ყველაზე მთავარი კი ავიწყდებათ: ავიწყდებათ სულიერი აღზრდა. ავიწყდებათ ბავშვებში იმ მორალური თვისებების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ახასიათებდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს.

საბოლოოდ შედეგიც სამწუხაროა: შვილები ნელ-ნელა კარგავენ მშობლების სიყვარულს, თანდათან შორდებიან მათ, ყურადღებას აღარ აქცევენ ანდა უპატრონოთა თავშესაფარში აბარებენ. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ იგივე ბედი, ანდა უფრო უარესი, თვითონ მათ ელით.

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, — გვასწავლის მეხუთე მცნება.

მშობლების პატივისცემა და მათი რჩევის გათვალისწინება არის საფუძველი ქალიშვილისა თუ ვაჟის მომავალი ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისა. უპატივცემულობა კი — მიზეზი ოჯახის სიმწარისა და დარღვევისა.

პიროვნების ინტელექტუალური და სულიერი ჩამოყალიბებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას. კარგად უთქვამთ: სკოლა ისეთია, როგორიც არის საზოგადოება.

საზოგადოება, როგორც ვიცით, დაავადებულია; შესაბამისად დასნეულებულია სკოლაც. ჩვენი საშუალო სკოლა კონსერვატიულია და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელს მსოფლიოში, რადგანაც მასწავლებელი მომავალ თაობებს ზრდის, ჩვენთან კი პედაგოგს არა აქვს ავტორიტეტი არც ოჯახში, არც საზოგადოებაში და არც მოსწავლეთა შორის. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში მოწაფეს არ უყვარს სკოლა და არც აღმზრდელნი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებლის შრომის

სოციალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე; [illegible] ყოვლისა, ლოცვით, რჩევებით, სიყვარულით, დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც შემდეგ ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ.

მასწავლებლის შესახებ შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობაა, გააკეთოს ყველაფერი, თუნდაც შეუძლებელიც კი, რათა მოსწავლეებმა ნამდვილი სიყვარულით შეიყვარონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვარებენ ისინი საგანს, რომელსაც სწავლობენ.

მასწავლებელთა შორის, რა თქმა უნდა, დღესაც არიან ნიჭიერი პიროვნებები, რომელნიც, გარდა იმისა, რომ კარგად ფლობენ საგანს, დაინტერესებულნი არიან მაგ. კარგი ბიბლიოთეკის შექმნით, სოფლის მეურნეობით, ხელოვნებით, გატაცებულნი არიან ფილატელისტობით, ან წერენ ლექსებს და თავის შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს აღსაზრდელთ უნაწილებენ.

ასეთი პედაგოგები სხვათაგან გამოირჩევიან მაღალი სულიერობით, ზნეობით, კულტურით. ისინი ღიმილით შედიან საკლასო ოთახში და თავიდანვე ქმნიან მშვიდ და სასიამოვნო განწყობილებას. არ იჩენენ პედანტობას ჟურნალის აღრიცხვისას, არ ცდილობენ ორიანის დაწერას და იმ მოსწავლეთა დასჯას, რომელთაც არა აქვთ გაკვეთილი მომზადებული. ბავშვებთან მათი შეხვედრა საინტერესო რომ იყოს, ისინი რამდენიმე წუთს უთმობენ მეცნიერულ მიღწევებზე, ხელოვნების სიახლეზე ან სხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს.

მაგონდება ერთ-ერთი ჩემი პედაგოგი, რომელმაც გაკვეთილზე კონსპექტის რვეულთან ერთად ხელჩანთიდან ამოიღო დანა-ჩანგალი, კოვზი... და თითქმის მთელი გაკვეთილის მანძილზე გვიხსნიდა მათი ხმარების წესებს, სადილობის დროს ქცევის ეტიკეტს. ჩვენ იმ დღეს ბევრი რამ შევითვისეთ. მის საგანს კი ამით არაფერი დააკლდა.

ამ ცოტა ხნის წინათ საპატრიარქოს რეზიდენციაში მეწვივნენ თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასელები, გაიმართა საინტერესო საუბარი, რომელსაც ბავშვებთან ერთად პედაგოგებიც და მშობლებიც ესწრებოდნენ. მე მათ ვუამბე საქართველოს ეკლესიის, საპატრიარქოს შენობის ისტორიის შესახებ; ვუთხარი ისიც, რომ საპატრიარქოში გახსნილია უფასო სასადილო ხელმოკლე სტუდენტებისთვის, გაჭირვებული მარტოხელებისა და მოხუცებისთვის. ბოლოს ვთხოვე მასწავლებლებს, რომ ამიერიდან აღარ დაეწერათ ორიანი მოსწავლეებისათვის და ბავშვებსაც, — რომ არ ჩაეგდოთ პედაგოგები უხერხულ მდგომარეობაში. ეს წინადადება სიხარულით მიიღო ორივე მხარემ.

სამი-ოთხი კვირის შემდეგ ისინი კვლავ მოვიდნენ ჩემთან და მოიტანეს შეგროვილი თანხა, ხუთასი მანეთი უფასო სასადილოსთვის.

ღირებული ეს ფული კი არ არის, არამედ სურვილი ბავშვებისა, მონაწილეობა მიეღოთ ღვთის სათნო საქმეში, რისთვისაც მათ მთელი დანაზოგი გაიღეს.

შეიწყალოს უფალმა მათი ქველმოქმედება და აკურთხოს ისინი. — ამ ქრისტიანულ საქციელში ჩანს პედაგოგთა კეთილი გავლენა.

როდესაც მასწავლებლების ნაკლზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან; დამნაშავეა განათლების დღეს არსებული სისტემა, რომელმაც კარგახანია დრო მოჭამა, მაგრამ მაინც ვერავინ ბედავს მის შეცვლას.

ამ სისტემაში აღმზრდელი არარაობას წარმოადგენს. მას აძლევენ გარკვეულ პროგრამას და აიძულებენ მის შესრულებას. დაფიქრების საშუალებასაც კი უსპობენ იმაზე, რომ მიხვდეს, პროგრამის ათვისება კი არ არის მთავარი, არამედ ბავშვებისათვის — მორალური, ზნეობრივი, სულიერი საზრდოს მიწოდება, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. პედაგოგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან, მშობლების, დირექტორისა და მოწაფეებისაგან იმდენად დათრგუნულია, რომ ფაქტობრივად დაკარგული აქვს თავისი თავისადმი რწმენა, თვითონაც ადვილად იმცირებს თავს და არც ცდილობს, როგორმე განშორდეს ამ ჭაობს.

მართალია, სავალალოა მასწავლებლების მდგომარეობა, მაგრამ მთელი ტრაგედია მაინც იმაშია, რომ ისინი ზრდიან ასეთსავე შეზღუდულ და უსახო მომავალ თაობებს, შეუგნებლად უვითარებენ რა მათ სკოლისადმი და საერთოდ სწავლისადმი სიძულვილს.

აიღეთ თუნდაც სახელმძღვანელოები, როგორ არის ისინი შედგენილი?! მე, მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს განზრახ იმგვარადაა იქ მასალა წარმოდგენილი, რომ საბოლოოდ ჩაუკლან ბავშვს ცოდნის შეძენის სურვილი.

საშუალო სკოლის პროგრამაც ისეა აგებული, თითქოს მოსწავლეებს ყველაფრის ცოდნა ეძლეოდეთ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით; სინამდვილეში მიღებული ცოდნა არაფრის მომცემია, რადგანაც ყველა საგანი ზედაპირულად ისწავლება. იგივე მდგომარეობა გრძელდება ინსტიტუტებში.

ასე ყალიბდებიან შემდეგ ამბიციური უმეცრები, რომელთა გამოსწორება უკვე შეუძლებელია.

იმედია ახალი თაობა გაითვალისწინებს წარსულის ამ ნაკლოვანებებს და მიიღებს შესაბამის ზომებს.

იქნებ სჯობდეს, სკოლის პროგრამა და საგნები ცალ-ცალკე შექმნილიყო ჰუმანიტარული და ტექნიკური განყოფილებებისათვის. ე. ი. გაგვეხსნა ერთი ტიპის სკოლები ჰუმანიტარებისათვის, მეორე ტიპისა კი — მათთვის, ვისაც ტექნიკური საგნები იტაცებს, მაგრამ ისე, რომ ორივე სახის სკოლებში დარჩენილიყო ზოგადსაგანმანათლებლო კურსი. სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სხვებთან ერთად, ისწავლება ზნეობრივი ღვთისმეტყველება. საშუალო სკოლის პროგრამაშიც შეიძლებოდა შეგვეტანა ზნეობრივი ეთიკა.

განა დრო არ არის დავფიქრდეთ იმაზე, ტყუილად რატომ ვასწავლით ჩვენს ბავშვებს მაგ. ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეთ; მაშინ, როდესაც არაფერს ვეუბნებით რწმენის, სიყვარულის, სიძულვილის, შურის, სინანულის, შერიგების უნარის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, სამართლიანობის, მოწყალების, სიცრუისა და სიმართლის შესახებ, შრომის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.

ამიტომაც შედეგად მივიღეთ საზოგადოება ქურდებისა და ბოროტმოქმედებისა, მლიქვნელთა, ცრუთა და უზნეოთა. დაბალმა სულიერობამ სხვა მხრივაც იჩინა ჩვენს ხასიათში თავი: ადრინდელ ჩემს ეპისტოლეში უკვე მქონდა იმის შესახებ საუბარი, რასაც აქ კიდევ გავიმეორებ: ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენს მოქმედებას ხშირად გრძნობები წარმართავს, გრძნობა კარგია, იგი გულიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის საკმარისი. აუცილებელია გონების, ზოგჯერ ცივი გონების კონტროლი, რომ სწორად განვსაზღვროთ ჩვენი საქციელის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგები.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა საუბრისას ასე ბრძანა: თუ ვინმე დამარტყამს, მეც დავარტყამ და სულაც არ ვფიქრობ, რა შეიძლება ამას მოჰყვესო.

დიახ, ეს ქართულ ხასიათში დევს და იგი ჩვენი დიდი ნაკლია. ასე ცხოვრება არ გამოგვადგება. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რა იქნება შემდეგ, რადგანაც ეს „შემდეგ“ ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის შეიძლება საბედისწეროდ იქცეს.

ჩვენი შვილებიც უნდა შევაჩვიოთ განსჯას, გონიერ აზროვნებას და მოქმედებას. ამიტომაც ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, კონცენტრირება გავუკეთოთ მთელ ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და შევქმნათ საშუალო სკოლის ყველა კლასისათვის ფილოსოფიური ღრმა აზროვნების კურსი.

წიგნები უნდა შედგებოდეს კანონებისა და ღრმა აბსტრაქტული აზროვნების შემცველი მაგალითებისაგან. რა თქმა უნდა, გამოყენებული უნდა იყოს ღვთისმეტყველება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და სხვა დისციპლინები.

პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდები.

ალბათ, ასევე საჭიროა, მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც პროგრამასა და წიგნების სერიალს შეადგენს ბავშვების აღზრდის თაობაზე ოჯახში. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, პატარები თავიდანვე მიეჩვიონ ფიქრს; დაე, მათ ნორჩ გონებასა და გულებში დაიბადოს ახალი იდეები, თუნდაც უტოპიური. შემდეგ კი, ეს ყველაფერი თავისით მოწესრიგდება.

დღეს სკოლადამთავრებული ყმაწვილები საერთოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ არიან მასთან შეგუებულნი, არ არიან შრომას შეჩვეულნი და ხშირად სრულიად შემთხვევით ხვდებიან ამა თუ იმ სასწავლებელში.

ვფიქრობ, სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად უნდა ატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, სამეცნიერო ცენტრებში, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. საშუალო სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით, საჭიროების შემთხვევაში არჩინოს თავისი თავიც და ოჯახიც.

ბოლოს მინდა შევეხო მშობლებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, საკითხს სიტყვის შესახებ.

სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა. მასში განსაკუთრებული მისტიური ძალაა ჩადებული.

მშობლებო, არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ აკურთხეთ. გეცოდებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. იცოდეთ, თქვენი სიტყვები დიდი ძალისაა და აუცილებლად შესრულდება. ბიბლიაც გვასწავლის, რომ კურთხევა მშობლებისა განამტკიცებს შვილების სახლებს, მათ ოჯახებს, წყევლა კი საფუძვლამდე ანგრევს მათ.

მასწავლებლებო! თქვენმა სიტყვამ, თქვენმა კეთილმა ან უხეშმა დამოკიდებულებამ შეიძლება გადაარჩინოს ან დაღუპოს აღსაზრდელი. ხომ ნათქვამია: ხეს რომ ყოველ დღე შეუძახო, გახმიო, გახმება. არასდროს უთხრათ ბავშვებს, რომ უნიჭონი და ცუდნი არიან, შეიბრალეთ ისინი და ნუ დაამცირებთ კლასის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ ე. წ. ძნელადაღსაზრდელთ. სწორედ მათგან გამოდიან გენიალური ადამიანები ან ცნობილი დამნაშავენი. ასეთი ბავშვები ფლობენ დიდ ენერგიას და ითხოვენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. კარგი აღმზრდელის ხელში ისინი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, თუარა და, მათი განვითარება სხვა მიმართულებით წავა.

ყოველთვის გახსოვდეთ: თითოეულ თქვენს მოსწავლეში ჩადებულია რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი, მიეხმარეთ მას, გამოავლინოს იგი.

პედაგოგს, რომელიც ვერ იოკებს სიბრაზეს, საჯაროდ კიცხავს და შეურაცხყოფს მოსწავლეებს, უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა იმისა, რომ თვითონ დატოვოს სკოლა. იგი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, მაგრამ არა სკოლაში, რადგანაც ის ვერ შეძლებს რწმენითა და სიყვარულით აღზარდოს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის მქონე მომავალი თაობა. ეს კი არის ჩვენს წინაშე მდგარი მეტად რთული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სულიერ ამაღლებას, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, შეურყვნელი გულების კულტურის სრულყოფას. წმიდა იოანე კრონშტადტელი ამბობს: „გული მეტად ფაქიზი, სულიერი, მსუბუქი და თავისი ბუნებით ზეციერია. გაუფრთხილდით მას. ნუ დაამძიმებთ, ნუ გაამიწიერებთ. იყავით მეტად თავდაჭერილნი ჭამა-სმისას და საერთოდ ერიდეთ ხორციელ სიამოვნებებს. გული ტაძარია ღვთისა. ვინც დაანგრევს ღვთის ტაძარს, მას დასწყევლის უფალი“. სხვა ადგილას კი იგივე წმინდანი წერს: „გულის სიცოცხლე სიყვარულშია, ხოლო ღვარძლი და მტრობა მოყვასისა, კლავს მას, უფალი იმიტომ გვაცხოვრებს ამ სოფლად, რომ ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა მთლიანად მოიცვას ჩვენი გული. ამას ელის იგი ყველასგან. ეს არის მიზეზი და მიზანი ქვეყნის არსებობისა“.

ასეთი ფიქრებითა და სურვილებით ვეგებებით ჩვენ აღდგომილი მაცხოვრის ბრწყინვალე დღესასწაულს — პასქას უფლისას.

„ნათელი ქრისტესი განმანათლებს ყოველთა“.

დაე, ღვთაებრივმა ნათელმა დაივანოს ჩვენს სახლებსა და გულებში, და დამკვიდრდეს ჩვენს შორის თვისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, განგვაშოროს ურთიერთ სიძულვილს, შურსა და მტრობას.

დღეს მე სიყვარულით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო: რუსებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო, ებრაელებო, ქურთებო, ესტონელებო და ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული საქართველოს მიწისა. თქვენ ხომ მრავალი წელია ქართველთა გვერდით ცხოვრობთ და ძმური ურთიერთობის გარდა მათგან სხვა არაფერი გინახავთ. გახსოვდეთ, საქართველო ადრეც გიცავდათ და კვლავაც დაგიცავთ. ხოლო ის, ვინც ჩვენს შორის ღვარძლსა და მტრობას სთესს, ჩვენი საერთო მტერია.

მშვიდობა და ღვთის კურთხევა იყოს ჩვენგან და ჩვენს შორის, ამინ.

განსაკუთრებული გრძნობით მინდა მივმართო შიდა ქართლის მცხოვრებთ: როგორც ქართველებს, ისე ოსებს. შეწყვიტეთ მტრობა და შუღლი, თქვენ და თქვენს შვილებს მომავალში ხომ ერთად მოუწევთ ცხოვრება: დაფიქრდით ამაზე, დაფიქრდით, რას უმზადებთ მათ.

მწამს, ღვთის წყალობით, დადგება მშვიდობიანი დრო და კვლავ ძმური ურთიერთობა დამყარდება ჩვენს შორის.

უფალო, მუხლმოდრეკილნი ვდგავართ შენს წინაშე, სუსტნი და ცოდვილნი, არა იმისთვის, რომ მოვიწონოთ ან ვიმართლოთ თავი, არამედ გთხოვთ შენდობა და შეწყნობა: გევედრებით, არ მოგვაკლო შენი კურთხევა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს სიტყვები შენი: „მშვიდობასა დაგიტევებთ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ“ (იოანე 14,27).

ღირსგვყავ, უფალო, შენი ღვთაებრივი მშვიდობისა.

„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან“.

ძმანო და დანო ჩემნო, გიხაროდეთ

ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად აღსდგა!

ქრისტესმიერი სიყვარულით
ილია II.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
პასექი ქრისტესი 1991 წ.

შიდა ქართლი

სამაჩაბლოს ამბები

5 აპრილს ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ დაუშინეს ტყვია და რაკეტები ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენსა და ყორნისის რაიონის სოფელ ავნევს. მსხვერპლი არ არის. 4 აპრილს ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვში დასაფლავებაზე შეკრებილ ხალხს სროლა აუტეხეს ოსმა ბანდიტებმა. დაჭრეს კოლმეურნეობის ბუღალტერი შოთა მერაბიშვილი. კოლმეურნეობის სპორტის ინსტრუქტორმა დურმიშხან კახნიაშვილმა ზურგზე მოიკიდა დაჭრილი და შეეცადა მის სამშვიდობოზე გამოყვანას, მაგრამ ისიც დაჭრეს. საქართველოს მილიციის მუშაკების ჩარევისთანავე თავდამსხმელებმა შეწყვიტეს სროლა და მიიმალნენ.

5 აპრილს ცხინვალისა და მის გარშემო სოფლებში შედარებით სიმშვიდე იყო.

5 აპრილს ცხინვალში გორის მხრიდან შევიდა შინაგანი ჯარის კიდევ ერთი კოლონა.

რაც შეეხება წინა დღით გადაცემულ ცნობას 4 ავტომანქანით ჯარის ნაწილების ონის გავლით სამაჩაბლოში შესვლის შესახებ, ზუსტი არ აღმოჩნდა. მამისონის უღელტეხილი და ონ-კვაისის გზა ამჟამად ჩაკეტილია.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედისა და გორის რაიონის მშრომელებმა ცხინვალში სურსათი ჩაუტანეს საქართველოს მილიციის მუშაკებს. ისინი მადლობას იხდიან ამ სააღდგომო ნობათისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრი,
საქინფორმი.

ისტორია ყველას თავისას მიაგებს

ქუთაისი. არა მგონია, ვინმეს თვალს ძილი მიჰკარებოდეს 4 აპრილს, ნაშუაღამევს ქუთაისის ნიკეის ქუჩის დასახლებაში. ამ ქუჩის გაყოლით, შიდა ქართლისაკენ მიმავალმა საბჭოთა ტანკებმა თან წაიყოლეს გარინდულ ფანჯრებს მიღმა ჩაბუდებული ბოღმა და ზიზღი, უმწეობაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შიში.

— შიშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, — ჩვენ ამ ზღვარს უკვე კარგა ხანია გადავცილდით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ორი შვილის დედამ დოდო უკლებამ, — მთელი ღამის მანძილზე ერთმანეთს ვურეკავდით ნაცნობები და ახლობლები. იყო აზრთა გაზიარება და იმის განსჯა, რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ, რითი დავიცვათ ჩვენი სამშობლო ამდენი სიბილწისაგან. უკვე იმდენად დამძიმდა ჰაერიც კი ჩვენს გარშემო, რომ სუნთქვა ჭირს. ან რაა გასაკვირი — წარმოუდგენელია იცოცხლო ისეთი სისაძაგლის გვერდით, რასაც დამპყრობელი საბჭოთა იმპერია ჰქვია. ან რა შიშზეა ლაპარაკი, როცა იცი, იქ შენი მოძმეები რა დღეში არიან. შენ კი მოკლებული ხარ ელემენტარულ შესაძლებლობას, რაიმეთი მიეშველო და შეუმსუბუქო მძიმე ტვირთი. ამას ყველაფერს ემატება გაოგნება იმის გამო, თურმე რამდენი შინამტერი გვყოლია. როგორ აიხადა ამ ხალხმა ნიღაბი, ჩვენ კი მათ მთელი ჩვენი შესაძლებლობებით გაერთიანებისა და თანხმობისაკენ მოვუწოდებდით.

— ისტორია უტყუარი მსაჯულია — ყველას, ადრე იქნება თუ გვიან, თავისას მიაგებს, — თქვეს ემზარ და ფაცო ჭანტურიძეებმა, — სიცრუესა და ბოროტებას ვერც ტანკები და, მით უმეტეს, ასეთი გადაგვარებული არმიით ვერ გადაარჩენ. საკითხავი და გასაკვირი სხვაა — როდემდე უნდა ატარონ ჩვენმა მტერ-მოყვარეებმა ცრუ და ავაზაკის სახება, როდემდე უნდა იყვნენ ისინი ბოროტების ბრმა იარაღი, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამოიტანონ დასკვნა ისტორიის უტყუარი გაკვეთილიდან. დღეს იქნება თუ ხვალ, დაიშლება იმპერია — ეს გარდაუვალია. მათ შთამომავლებს კი თაობიდან თაობამდე გაჰყვებათ ცოდვის მძიმე, გაუსაძლისი ტვირთი... შეუძლია კი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ასეთი რამ უსურვოს თავის სისხლსა და ხორცს.

მაკა კილაძე,
საქინფორმის კორ.

მთავრობის მოამბე

რა გამორჩა პროგრამა „პრემიას"?

სავსებით მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ახლა ნომერი პირველი საკითხი ფასების მომატებაა. იგი ერთნაირად აღელვებს ყველას. ხუმრობა საქმე როდია! ცარიელია მაღაზიის დახლები, ბაზარს, რომ იტყვიან, „ცეცხლი ეკიდება", საოჯახო ბიუჯეტი კი არც ისე მდიდარია, ზოგჯერ მწირიც კია. და აი, ასეთ ვითარებაში, ყოველ კაპიკს მნიშვნელობა აქვს და შეუძლებელია აუღელვებლად მივიღოთ ფასების სულ პატარა სხვაობაც კი. ხალხი გაღიზიანებულია, გრძნობს ცენტრის „გულწრფელ" თანადგომას. მისი „დახმარების" ხელს. ამას ისიც დაემატა, რომ პროგრამა „ვრემიამ", რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავი გამოიჩინა საქართველოსადმი „ობიექტური" დამოკიდებულებით და დიდი „სიმპათიებით", არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ცეცხლზე ნავთი გადაასხა — აუწყა მილიონობით მაყურებელს, რომ, აი, ნახეთ ხორცის საერთო საკავშირო ფასი 9 მანეთია, საქართველოში კი კილოგრამ ხორცს 12 მანეთი დაადესო. ასევე რძესა და რძის პროდუქტებზეო.

ამ ცნობის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის თენგიზ სიგუას კომენტარი

მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ **თენგიზ სიგუას**:

— დიახ, ერთი კილოგრამი ხორცი ჩვენთან 12 მანეთად გაიყიდება, მაშინ როცა საკავშირო მასშტაბით იგი 9 მანეთი ეღირება. რატომაა ასეთი სხვაობა? რა თქმა უნდა, ძალიან გვიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ, ნათქვამია, თავს ზევით ძალა არ არისო. განა ჩვენ არ გვინდოდა, რომ რესპუბლიკაში პროდუქტები უფრო იაფი ყოფილიყო? საქმე კი ის გახლავთ, რომ შევეცადეთ ტაქტიკური სვლა გაგვეკეთებინა. მოდით, ვიყოთ გულახდილნი. რა ფასიც არ უნდა დავადოთ ხორცს, ის მაღაზიებში მაინც არ არის. ბაზარში კი დღეის მონაცემებით მისმა ფასმა 35 მანეთს მიაღწია. საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ სადაც პროდუქტი ძვირია, იქ ხდება ამ პროდუქტის დინება. ჩვენ ვეცდებით, რომ რადგან ხორცს აქ უფრო მაღალი ფასი აქვს, ეს პროდუქტი სხვა რესპუბლიკებიდან შემოვიდეს. ამით ბაზარში ხორცის ფასი დაეცემა. სწორედ ეს პოლიტიკაა ჩადებული იმ გადაწყვეტილებაში რომ ახლა ხორცს 12 მანეთი დავადევით და არა ის განმარტება, „ვრემიამ" რომ მოგვცა. ხოლო მას შემდეგ, რაც შევისყიდით ხორცს საზღვარგარეთიდან, მოსახლეობას კილოგრამს 7-8 მანეთად მივყიდით. გაფორმებულია ხელშეკრულება ხორცის, კარაქის, მშრალი რძის შემოზიდვაზე გერმანიასთან, კენიასთან.

ასეთივე მდგომარეობაა რძეზეც, მხოლოდ რძის პროდუქტებზე მოსახლეობას მიეცემა სრული კომპენსაცია.

ახლა ჩვენი უმთავრესი პროგრამაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საკვები პროდუქტების შემოზიდვაზე, მშრალი რძის შესყიდვაზე, თუმცა მისი მარაგი დღეს გვაქვს. მაგრამ ამან არ უნდა გვანუგეშოს — ცენტრი კარგა ხანია ეკონომიკურად არ გვეხმარება. კურსი უნდა ავიღოთ ახალ ალტერნატიულ ბაზრებზე.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო რესპუბლიკის მოსახლეობას, რომელმაც ესოდენ ჭირთათმენით გადაიტანა ეს ცივი და მშიერი ზამთარი. მოსახლეობა შეგნებულად შეხვდა წლევანდელ ენერგეტიკულ კრიზისსაც. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ყველაფერი იღონა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის თანადგომა და მხარდაჭერა გვიათკეცებს ენერგიას. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ 1991 წლის შემოდგომასა და მომავალ წელს მნიშვნელოვნად შევამსუბუქოთ მდგომარეობა. ახლა მთავარია გავამართლოს სოფლის მეურნეობამ. იყო ხმები, თესვა ჭიანურდება, ხალხი სოფლად არ მუშაობსო. გაიმართა გასვლითი თათბირები თელავში, ბათუმში, მე თვითონ შვეულმფრენით შემოვიარე რესპუბლიკის რეგიონები. ხალხი მიწას ამუშავებს, ვენახები მოვლილია. მჯერა, წლეულს კარგ მოსავალს მოვიწევთ, რაც იმის ბაზისს შეგვიქმნის, რომ გაისად წლის დამლევისათვის ნამეტ პროდუქციასაც კი შევქმნით.

არ შეიძლება არ მივესალმო რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ასეთ ოპტიმიზმს. ღმერთი იყოს მისი და მთლიანად ჩვენი შემწე!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში სისტემატურად მცირდება საბინაო მშენებლობის მოცულობა და ტემპი, რაც უმთავრესად გამოწვეულია ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების უკმარისობით. ასეთია ნეგატიური ტენდენცია, რომელსაც განსაზღვრავს მეტად დაძაბული ვითარება რესპუბლიკის ეკონომიკაში, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საბინაო მშენებლობაში არსებული სახსრების ინერტულობა. სამწუხაროდ, ეს გრძელდება მიმდინარე გარდამავალ პერიოდშიც. ეს კი მომავალში იმას გამოიწვევს, რომ დაუტვირთავი დარჩება სამშენებლო ორგანიზაციები, რასაც მოჰყვება ბევრი სხვა არასასურველი შედეგი და რამაც არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის დონეზე.

ამის შესახებ სჯა-ბაასი მიმდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკაში ექსპერიმენტის მოწყობის საკითხი, რომლის მიზანია საბინაო მშენებლობისათვის მოქალაქეების, კოოპერატივების, საწარმოებისა და დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების სახსრების გამოყენება. მიღებულია გადაწყვეტილება ექსპერიმენტის სახით 1991-1993 წლებში რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და მათ მიმდებარე საგარაკო ადგილებში განხორციელდეს საბინაო და საგარაკო მშენებლობა მოსახლეობისაგან სახსრების მოზიდვის ხარჯზე. განსაზღვრა ასეთი ქალაქების ნუსხაც. ესენია თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, თელავი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქალაქის ან რაიონული ცენტრის ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რომლებიც ამ ნუსხაში არ შედიან, მიზანშეწონილად ჩათვლის ამ ექსპერიმენტში მონაწილეობას, მაშინ პრეფექტის წარდგინების საფუძველზე საკითხს გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო.

მთავრობამ დაამტკიცა დებულება „მოქალაქეთა", კოოპერატივთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და სხვა იურიდიულ პირთა სახსრების ხარჯზე საქართველოს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განხორციელების შესახებ". საგულისხმოა, რომ გამნაშენიანებლებს უფლება მიეცათ ამ დებულების შესაბამისად აუქციონის მეშვეობით მიჰყიდონ აშენებული საცხოვრებელი სახლები, ბინები და აგარაკები მოქალაქეებს, კოოპერატივებს, ამხანაგობებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, რომლებსაც სოციალური განვითარებისა და საბინაო მშენებლობის ფონდები აქვთ. კონკრეტული დავალებანი მიეცათ შესაბამის სამინისტროებს, აგრეთვე ექსპერიმენტის მონაწილე ქალაქების ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ძირითადი ფუნქციებისა და სტრუქტურის საკითხი, როგორც მიღებულ დადგენილებაშია აღნიშნული, იგი არის ცენტრალური საუწყებათშორისო ეკონომიკური ორგანო, რომელსაც ეხება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ანალიზის, პროგნოზირება და სტრატეგიული მართვის საკითხები. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იგი იღებს სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს. ეკონომიკის სამინისტროს ეკისრება რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფისა და საბაზრო ურთიერთობის ფორმირებისათვის მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნის დიდი და პასუხსაგები ამოცანები.

ამ მიმართულებით მთელი მომავალი მუშაობის კოორდინაციის სრულყოფის მიზნით ბევრი რამ უნდა გააკეთოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო კომისიამ. ამ კომისიას სათავეში ჩაუდგა მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. კომისიის ფუნქციების, უფლებებისა და უფლებამოსილებების ზუსტ განსაზღვრასთან ერთად სხდომაზე დამტკიცდა მისი შემადგენლობა, აგრეთვე აპარატის სტრუქტურა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკაში სხვადასხვა ასოციაციების, საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნას. ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო კომისიის წარდგინებით მთავრობამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოების) ფილიალის რეგისტრაციის წესის საკითხი, დაამტკიცა მისი დროებითი დებულება.

მიღებულია დადგენილება ორი ახალი ასოციაციის წესდებათა რეგისტრაციის შესახებ. ერთი მათგანია ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია, მეორე — მრავალდარგოვანი სამეცნიერო-საწარმოო კომერციული ასოციაცია „კონგლომერატი", რომლის მიზანი ის არის, რომ თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას და განვითარებას, სხვა რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებას. სხვათა შორის, ამავე სხდომაზე მიიღეს წინადადება, რომ თბილისში შეიქმნას საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმო „გალკონსი", რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ამ ასოციაციასთან არსებული ერთ-ერთი კოოპერატივი. იგი დასპეციალდება საბავშვო სათამაშოებისა და თამაშების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ელექტრონული და სხვა სამომხმარებლო პროდუქციის წარმოებაზე. დაეთანხმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კოოპერაციული ფირმა „იბერია-პროგრესის" წინადადებასაც — საქართველო-პოლონეთის ერთობლივი საწარმოს „იბერია-ვოლანის" შექმნის შესახებ, რომელიც დაამზადებს და გაასაღებს შესადუღებლო სამუშაოებისათვის საჭირო აღჭურვილობასა და მოწყობილობას, სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციას, შეიმუშავებს და დანერგავს ახალ პროგრესულ ტექნოლოგიებს.

მთავრობის გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის კავშირი, აგრეთვე სრულიად საქართველოს საზოგადოება „აკჰეთის", საქართველოს ეროვნული მილიციის აღორძინების საზოგადოება „აჭარისა" და არასახელმწიფო დეტექტიური საზოგადოება „დეტას" წესდებები, რომელთაგან თითოეული უპირველეს მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოს რესპუბლიკის, მისი მოქალაქეების ინტერესებს.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხებიც.

საქინფორმი.

საკუთარ სახლში

ქრისტე აღსდგა!.. — ჭეშმარიტად!..

ხვალ აღდგომა შემობრძანდება საქართველოში — აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და მარად ქალწულისა მარიამისა... მისი მადლი და ხალხის ლოცვა-კურთხევა ჩვენს სამშობლოს ხომ მშვიდობასა და სიკეთეს მოუტანს. სწორედ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს მიეძღვნა ჟურნალისტთა კავშირისა და ფოტოჟურნალისტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწყობილი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების ფოტოკორესპონდენტთა ნამუშევრების გამოფენა.



ამგვარი გამოფენა, რომელსაც ავტორებმა „ქრისტე აღსდგა" უწოდეს, პირველად მოეწყო საქართველოში.

მასზე წარმოდგენილი ფოტორეპორტიორების — ალექსანდრე კოტორაშვილის, ზურაბ დათუაშვილის, დავით იაკობაშვილის, შალვა გოქაძისა და სპარტაკ ჯანიაშვილის ნამუშევრები მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული. ისინი ასახავენ ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს: ნათლობას, ლოცვა-კურთხევას, ნათლისღებას... ერთი სიტყვით, წარმოჩენილია ქრისტიანული რიტუალები, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, და ის უდიდესი ეროვნული საქმენი, რომელსაც ერის სულიერი აღორძინებისათვის აკეთებდა ეკლესია.

შთამბეჭდავია ფოტოებისგან შედგენილი ჯვარი, უწმინდესის პორტრეტი, ქრისტეს გამოსახულება, — სხვათა შორის ეს გამოსახულება ამერიკელებმა ულტრაიისფერი სხივების საშუალებით მიიღეს იმ საფარიდან, რომელშიც ჯვარცმის შემდეგ ქრისტე გაახვიეს.

საყურადღებოა ალექსანდრე კოტორაშვილის ქრისტეს პორტრეტი, საქართველოს ეროვნული გერბის ფოტორეპროდუქცია, ქორწინების ჯვრისწერა წმინდა სამების ეკლესიაში, დავით იაკობაშვილის მიტოვებული სამრეკლო, ზარი, ზურაბ დათუაშვილის სვეტიცხოველში ნინოწმინდის ხატი; სპარტაკ ჯანიაშვილის, ცისკრის ზარი, სიცოცხლის ხე, სააღდგომო კვერცხი; შალვა გოქაძის საეკლესიო რიტუალები და სხვა.

გამოფენა ეძღვნება ჩვენს სულიერ აღდგომასაც და მისი უპირველესი დედა-აზრი სწორედ ეს არის — სულიერი განწმენდა, ამაღლება, რომელიც ჩვენდა სავალალოდ ერთ დროს თითქმის სრულიად დავკარგეთ.

— ჩვენ კარგად ვიცით, როგორ შემობრუნდა ბოლო დროს ხალხი ეკლესიისაკენ, როგორ იდევნებოდა ადრე რელიგია, როგორ გვიშლიდნენ ამ წმინდა ტაძარში შესვლასაც კი და როგორ მალულად ვლოცულობდით, — გვითხრეს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის პირველმა მდივანმა ზაურ გომართელმა და ფოტოჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფის წევრმა პავლე გორდელაძემ.

მათ ბევრი ჩანაფიქრი აქვთ. უპირველესია ის, რომ უფრო დიდი სულიერი ამაღლება გვაგრძნობინონ. ამის საშუალება კი მათ შენობის უქონლობის გამო არ აქვთ.

შემდგომ გამოფენებსაც ისინი, ალბათ, უმეტესად რელიგიურ თემებს მიუძღვნიან, რადგან ყოველ ჩვენთაგანს ყველაზე მეტად ასეთი სულიერი ამაღლება სჭირდება.

გამოფენა დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

იზა ჯაჯვაძე.

* * *

სურათზე: საექსპოზიციო დარბაზში; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გამოფენაზე.

პრობლემა

ინფლაცია: შეფასება და წინააღმდეგობანი

ეკონომიკის რღვევა თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს ფულის სულ უფრო მზარდი ინფლაციით, რომელმაც მთელი საზოგადოება მოიცვა. იგი არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ, კულტურულ და მორალურ ღირებულებასაც აუფასურებს. მდგომარეობას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ სოციალიზმის პირობებში ინფლაციის საკითხი ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის დაწვრილებით განხილული.

საერთოდ, სწორი გადაწყვეტილება გამომდინარეობს ვითარების სწორი შეფასებიდან, რაც ყველა მონაცემის გულდასმით შესწავლას და განზოგადებას გულისხმობს. ეს კი მთელი შემეცნებითი პროცესია და წინ უსწრებს გადაწყვეტილების მიღებას. ვინც ასე არ მოქმედებს, ილუზიაში ექცევა, შემთხვევითი, არასრული ცოდნით ხელმძღვანელობს, რის გამოც წინააღმდეგობების დაძლევა ობიექტურისა და სუბიექტურს შორის ვერ ხერხდება. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური პრობლემები მათ წინააღმდეგობებში და ერთიანობაში აუცილებლად სწორად უნდა გავიაზროთ.

საკითხის დაყენების ამ ასპექტით უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ როგორ განიხილავს ეკონომიკური აზროვნება ინფლაციას. მისი არსის გარკვევას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ ინფლაციის მექანიზმი შეიცავს წინააღმდეგობას სტაბილიზაციის სახით.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის საკითხი ერთმნიშვნელოვნად არის განხილული. „ინფლაცია არის ქაღალდის ფულის გაუფასურება, ანუ მისი რეალური ღირებულების დაცემა ნომინალური ღირებულების ქვევით".

ეს განსაზღვრება სწორიც არის და მცდარიც. სწორი იმიტომ, რომ ზოგად წარმოდგენას იძლევა ინფლაციაზე, მცდარი იმიტომ, რომ ვერ გამოხატავს მის არსს და ჩამოყალიბების მექანიზმს.

„ქაღალდის ფულის გაუფასურება" აქ მოწყვეტილად არის წარმოდგენილი ეკონომიკური პროცესებიდან. უმართებულოა რეალური ღირებულების დაცემა ნომინალური ღირებულების ქვევით, რადგან ნებისმიერი ფული, როგორც საქონლის საყოველთაო ეკვივალენტის ღირებულება, განისაზღვრება საქონლის ღირებულებით. ეს გამოიხატება ფასების მასშტაბით, სადაც „ნომინალური" მხოლოდ პირობითობას ნიშნავს. გარდა ამისა, აღნიშნული განსაზღვრის მიხედვით ინფლაციის მიზეზების არსი ფულის მიმოქცევის სფეროშია გადატანილი, რაც არ შეიფერება რეალურ პრაქტიკას, რამდენადაც ფულის მიმოქცევის პროცესი მატერიალური ურთიერთობის პროცესების გამოხატულებაა.

ამ პოზიციის შესაბამისად, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა უნდა აიხსნას იმ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე, რომ ფულში არიან განივთებული. ამასთან, ეს ურთიერთობანი წარმოშობს იმ კანონზომიერებებს, რომლებსაც ფულის მიმოქცევა და კრედიტი ემორჩილება, რაც, თავის მხრივ, ფულის მიმოქცევის სისტემის სწორი გააზრების საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობათა შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს იმ კონკრეტულ-ისტორიული გარემოცვის საფუძველზე, რომელშიც ისინი ვითარდება. ამიტომ, ჩვენი კვლევა ემყარება სახალხო მეურნეობის ისტორიას, ეკონომიკური აზროვნების განვითარების ეტაპებს (საფეხურებს) მასთან ერთიანობაში და შედეგობრიობაში.

საზოგადოებრივ-წარმოებრივი ურთიერთობანი ღირებულების მიხედვით, სხვადასხვა სახით ვლინდება, სისტემატურად ვითარდება და გამოხატულებას პოულობს ფულის მიმოქცევაში, როგორც ღირებულების საყოველთაო ფორმაში.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფლაცია არის საზოგადოებრივი ხარჯების ჯამის, საზოგადოებრივი შემოსავლის ჯამზე გადამეტების შედეგად ფულის ერთეულის მყიდველობითი უნარის სისტემატური (ან ერთჯერადი) დაქვეითება მის პირვანდელ ღირებულებასთან შედარებით, ფასების მასშტაბის უცვლელობის პირობებში.

ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება მარტივი კვლავწარმოების გაგრძელება ფულის ემისიის გარეშე, ამიტომ, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივი წარმოების დანახარჯების არსსა და სტრუქტურაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ფასებს, მათ შეუძლიათ არსებითი როლი შეასრულონ ინფლაციის შეჩერებაში ან წარმოშობაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოხატავენ მთლიანი პროდუქციის საშუალო ერთეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების საშუალო ღირებულებას, ე. ი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასი უნდა გამოხატავდეს საქონლის წარმოებისა და მყიდველამდე მიტანის ხარჯების ჯამს ფულადი ფორმით, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ფასები, ხელფასის სახით უნდა გამოხატავდეს საზოგადოებრივი შრომის იმ ნაწილის სრულ ღირებულებას, რომელიც აუცილებელია დახარჯული სამუშაო ძალის მფლობელთა და მათი ოჯახის წევრების ბიოლოგიური, სოციალური, კულტურული და მორალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ამ პოზიციების ნიადაგზე ვაფასებთ ოფიციალური ეკონომიკური აზროვნების დამოკიდებულებას ფულის ინფლაციისადმი. ოფიციალური ეკონომიკური აზროვნება, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ცდისას, იმ თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, რომ „მოსახლეობის მთლიანი შემოსავალი ბევრად აღემატება „დასაქონლებას" და შეთავაზებულ მომსახურებას".

ამ შეხედულებას საფუძვლად უძევს არა ეკონომიკური ფაქტების ანალიზი, არამედ საკავშირო საბჭოთა მთავრობის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის და მისი ქვედანაყოფების პროპაგანდისტული ეკონომიკური დოქტრინერობა, რაც მიზნად ისახავს თავისი მმართველობით-ეკონომიკური საქმიანობის უარყოფითი შედეგები ხალხს გადააკისროს. ამგვარი მიდგომა რეალიზმის პოზიციებიდან მათი შეფასებისას როგორც მეთოდოლოგიური, ისე ქრესტომათიული შეცდომაა.

ეს მეთოდოლოგიური შეცდომა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის შემოსავალი საზოგადოების ცალკეულ წევრებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის უკიდურესად უთანაბროდ არის განაწილებული. საზოგადოებრივი შემოსავალი დიფერენცირებული და კონცენტრირებულია მოსახლეობის 15-20 პროცენტის ხელში.

ამ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელია მოთხოვნილების მეტისმეტი გაზრდა. საერთოდ კი, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა საზოგადოების პირველადი შემოსავლის რაოდენობასთან თანაფარდობაში უკიდურესად დიფერენცირებული და მკაცრად განსაზღვრულია.

ამ საკითხისადმი ოფიციალური მიდგომა უმართებულოა ქრისტიანული თვალსაზრისითაც, რამდენადაც ხანგრძლივი მოხმარების ტექნიკურად რთული საქონლის შესაძენად აუცილებელია სათანადო დანაზოგების შექმნა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს პროცესები აუცილებელია ერთი მხრივ, შეუფერხებელი რიტმული ვაჭრობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ საქონელზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

თუ ამ პოზიციებიდან დავუშვებთ, რომ მოსახლეობამ ერთბაშად დახარჯა მთელი თავისი შემოსავალი, მაშინ აღნიშნულ პროცესების უზრუნველყოფა ობიექტურად შეუძლებელი გახდება.

შემდეგ. ამტკიცებენ, რესპუბლიკის შემნახველი ბანკების სისტემაში ანაბრები 9 მილიარდ მანეთს შეადგენს და ეს თანხა საკმარისიაო საქონელბრუნვის გაფართოებისა და ფულის მიმოქცევის გასწორებისათვის. ნუთუ ასეა?

ისმება კითხვა: რა დროის განმავლობაში შეიძლება ამ თანხის მოსახლეობისათვის გაცემა? (ზუსტად იგი 9,157 მილიარდ მანეთს შეადგენს).

შემნახველი ბანკების სისტემაში ფულის შეტანა-გამოტანის არსებული დინამიკის პირობებში თანხის ერთდროული გაცემა რესპუბლიკის ფინანსურ სისტემას რესურსების უქონლობის გამო არ ძალუძს. ეს თანხა მხოლოდ ნომინალურად არსებობს.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ამ თანხის გაცემას, ერთდროული მოთხოვნის შემთხვევაში, საკასო ოპერაციების არსებული პირობების გათვალისწინებით 27 წელზე მეტი დასჭირდება. როგორც ხედავთ, ვერც ეს პოზიცია უძლებს კრიტიკას.

ასევე, ვთქვათ ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის შემოსავალი (პენსიონერთა და ახალშობილთა ჩათვლით) 100 მანეთს აღწევს (რაც ფაქტობრივთან შედარებით მეტად გაზრდილია), მაშინ გამოვა, რომ მოსახლეობის წლიური შემოსავალი 7 მილიარდ მანეთს შეადგენს. (ზუსტად 6,7 მილიარდი მანეთი).

ფაქტობრივი საქონელბრუნვის თანხა კი, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, რესპუბლიკაში 6,6 მილიარდ მანეთს შეადგენს ცეკავშირის და სახელმწიფო ვაჭრობის სახით, ამას ემატება სამხედრო ვაჭრობა, მოსახლეობის ხარჯები კულტურულ-საგანმანათლებლო და სანახაობით ღონისძიებებზე, ჯანმრთელობაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურეობაზე, ტრანსპორტზე, ბინების აშენება-შეკეთებაზე, უხარისხო პროდუქტის მოხმარებაზე და მოსახლეობის მიერ გაღებული სხვა თანხები.

რა სახსრების საშუალებით ხდება მოსახლეობის მთელი ჩამოთვლილი ხარჯების დაფარვა, თუ იგი ერთი წლის განმავლობაში შემოსავლის სახით 7 მილიარდ მანეთს იღებს? პასუხი ერთია: ჩვენს საზოგადოებას მნიშვნელოვანი ფარული შემოსავალი აქვს — დაახლოებით 7 მილიარდი მანეთი, რომელიც კონცენტრირებულია უკიდურესად ვიწრო სოციალური წრის ხელში.

ანდა, შეიძლებოდა კურსი აგვეღო ემისიაზე (ე. ი. ზედმეტი ქაღალდის ფულის გამოშვებაზე), რაც ჩვენს რესპუბლიკაში წლეულს ისედაც გადააჭარბებს მილიარდ მანეთს, მაგრამ, ქაღალდის ფულის ემისია, როგორც ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებას, არასოდეს მოუცია და ობიექტურად ვერც მოგვცემს ვერავითარ ეფექტს. ვერ მოგვცემს იმიტომ, რომ, რამდენადაც სახელმწიფო პირველ აქტზე უშვებს „ყალბ მონეტას" თავის მოვალეებზე, მეორე აქტზე თვითონვე იღებს მას, როდესაც მისი მოვალეები ამჯერად გამოდიან სახელმწიფოს საწარმოების და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქტის და საქონლის მყიდველად, ანდა ანაზღაურებენ მის გარკვეულ მომსახურებას „ყალბ ფულზე". ხდება სახელმწიფოს მიერ ორმაგი თეთრმოტყუება.

ამასთან, ჩვენს პირობებში, ემისიის პროცესი საერთოდ არ გამორიცხავს „ფარულ ემისიასაც". ჩამოთვლილ ფაქტებს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საბჭოთა კავშირში ინფლაცია ფაქტობრივად უკვე 1958-59 წლებში დაიწყო, როცა პირველად გაძვირდა კარაქისა და რძის პროდუქტები. შემდეგ 1961 წელს მოხდა ფულის რეფორმა მისი დენომინაციის გზით. მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში დღემდე სისტემატურად ხდებოდა და ხდება ფასების აშკარა და ფარული მომატება სურსათზე და სახალხო მოხმარების სხვა საქონელზე. მაგალითები უამრავია და საყოველთაოდ ცნობილია.

ჩამოყალიბდა ისეთი პირობები, როცა ფასები მათ სრულ ღირებულებასთან შედარებით სამრეწველო საქონელზე საშუალოდ 4,6-ჯერ ხოლო სურსათზე 2-3-ჯერ მეტია.

ფასების დონე ხელფასებთან და სხვა ოფიციალურ შემოსავალთან ფარდობითობაში უკვე დიდი ხანია კრიზისულ ზღვარზე დაბალია. ასეთი ტენდენცია კვლავ ძალაშია...

სწორედ ამ ეკონომიკური რეალობებიდან უნდა განვიხილოთ ახალი ეკონომიკური დოქტრინიორობა, საბაზრო ეკონომიკის საბჭოთა მოდელი, როგორც იდეოლოგიზირებული ეკონომიკური სქემა, ფასების ნახტომისებური მომატების მიზნით, რაც საზოგადოების სოციალურ კასტრაციას ნიშნავს. თანაც ფასების შესაძლო მომატება მკვეთრად დიფერენცირებულია „პერიფერიულ" რესპუბლიკებში წარმოებული პროდუქციის საზიანოდ.

არსებითად მცდარია ამ ეკონომიკური სქემის დასაბუთებაც. დღემდე არსებულ მსოფლიო სახალხო მეურნეობის ისტორიაში საბაზრო ურთიერთობა ეყრდნობოდა და ეყრდნობა არა მიწოდება-მოთხოვნას შორის თანაფარდობას, არამედ ღირებულების კანონის მოქმედებას, რაც ნიშნავს, რომ საქონლის გაცვლა ხდება მათი საზოგადოებრივად აუცილებელი ღირებულების მიხედვით, სადაც მიწოდება მოთხოვნას შორის თანაფარდობა მისი კონიუნქტურული მოქმედების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა. ამასთან ღირებულების კანონი წარმოების სტიქიურ რეგულატორად გვევლინება. მისი გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საფუძველზე ხდება ბაზრის რეგულირება.

ამასთან საბაზრო ეკონომიკის საბჭოთა სქემა საქონლად აცხადებს ყველანაირი შრომის პროდუქტს და არა ყველა საქონლის შემქმნელ სამუშაო ძალას, რაც ნიშნავს, რომ არ გადაუხადონ მას დახარჯული შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს წინაშეა ახალი ეკონომიკური პაროდია საბაზრო ეკონომიკის სინდრომით.

ამდენად, საბაზრო ურთიერთობის საბჭოთა მოდელი წარმოადგენს შირმას, რომლის უკანაც ცდილობენ საგარეო და საშინაო პოლიტიკის უარყოფითი შედეგები აზღვევინონ ხალხს, რომელიც ყოველთვის წინააღმდეგი იყო ასეთი პოლიტიკისა.

რას ნიშნავს ფასების შემდგომი მომატება? იგი ნიშნავს ხალხის სოციალურ კასტრაციას და წარმოგვიდგება როგორც ყველაზე საშინელი ეკონომიკური რეპრესია.

საქონლის ფასების ზრდა ადამიანის არსებობისათვის დასაშვებ ხელშეუხებელ ზღვარს იქით ნიშნავს ბიოლოგიური არსებობის ხელყოფას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება ბიოლოგიური გენოციდის საფრთხე. რეალური პირობების მფლობელ ძალებს ასეთ ვითარებაში შესაძლებლობა ექმნებათ მოსპონ ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა მწვავე მდგომარეობის მასზე გადაბრალებით ან დაიმორჩილონ იგი. ასეთ შემთხვევაში, კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე მდგომმა ეკონომიკურმა აზროვნებამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდევნებოდა, თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას.

გარკვეული ჯგუფების ფარული შემოსავლების გავრცელება მთელ მოსახლეობაზე და ამ საფუძველზე ფასების მუდმივი მომატება უაღრესად სერიოზული შეცდომაა და მწვავე სოციალურ პირობებს შექმნის, იგი პროლეტარებად აქცევდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა უდიდეს მასებს კარს მომდგარი პრივატიზაციის წინ, რაც უნებლიედ იწვევს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდის ასოციაციებს. რაც შეეხება პრივატიზაციის მომავალ პრეტენდენტებს, ცივილიზებული ქვეყნების ინდუსტრიალისტებისაგან განსხვავებით, მათი შესაძლებლობები განისაზღვრება ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის პირობებში სამსახურებრივი მდგომარეობის შედეგად, საზოგადოებრივი ქონების განკარგვის უფლების პირადი ინტერესების შესაბამისად გამოყენებით.

ეს ფრიად საეჭვოდ ხდის მათ კომერციულ ძალას ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ ნიშნავს პარტიულ-პოლიტიკურ, სამეურნეო და ადმინისტრაციული ბიუროკრატიის გადაქცევას ეკონომიკურ ბიუროკრატიად. ყოველივე ეს მთელი სერიოზულობით უნდა გავითვალისწინოთ.

ამ მხრივ ნაკლებ ვერ უშველის ახლახან განხორციელებული ქაღალდის ფულის კურსის აღდგენის ცდაც მისი დეფლაციის გზით, რაც გამოიხატა მიმოქცევაში მყოფი 50 და 100-მანეთიანების ამოღებასა და გაუქმებაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ პროცესების მთელი სიმძიმე მშრომელთა ზურგზე გადავა, რამდენადაც ჩამოყალიბებული არ იყო საშუალო ხელფასის გამოყენების მოტივირება და შესაცვლელი ფულის ზღვრული ან შეფარდებითი ოდენობა, რასაც ემატებოდა ამ პროცესების განხორციელების უაღრესად შეზღუდული ვადები, მოშლილი საფინანსო, საბანკო და საკასო ურთიერთობები.

ინფლაციის შეჩერებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის შესაძლებლობები უნდა ვეძიოთ არა ფასების მომატებაში, არამედ საზოგადოებრივი წარმოების გაბერილი დანახარჯების სისტემაში, კერძოდ, უნდა მოხდეს მისი ზედნადები ხარჯების ლიკვიდაცია. იმ ხარჯებისა, რომლებიც არც ღირებულებას ქმნიან და არც მის შექმნას უწყობენ ხელს. შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი მათგანი: ხარჯები სოფლის მეურნეობის ქიმიზაციაზე, სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის შენახვაზე და სხვა. ამავე მიზნით აუცილებელია ყველა დონის მრავალრიცხოვანი მმართველობითი ფენის ელიტარული მომსახურების გაუქმება. მათგან მარტო ერთი სახეობის — პერსონალური სამანქანო მომსახურების შემცირება საწარმოო აუცილებლობის დონეზე და მათ გამონთავისუფლების შედეგად სატაქსო პარკების შექმნა 100 მილიონ მანეთამდე ეფექტს მოგვცემს.

შეიძლება გამოიძებნოს საბიუჯეტო შემოსავლების ახალი წყაროებიც, მაგალითად, ძებნის, მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ხარჯების გადაკისრება დამნაშავეზე. რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიული ტიპის აღდგენა, მარცვლეული კულტურების წარმოების და მეცხოველეობის უპირატესი განვითარება.

ყოველივე ამის საფუძველი უნდა გახდეს შესაძლებელი საბალანსო პარიტეტული ურთიერთობის მიღწევა ყველა გარეეკონომიკური ობიექტთან.

ამასთან, ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითად მიმართულებად მიგვაჩნია საზოგადოებრივი წარმოების გაბერილი ხარჯების შემცირება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ოფიციალური ეკონომიკური აზროვნება განხილულ პრობლემებზე ეყრდნობა ილუზიებს და უაღრესად განყენებულ სუბიექტურ წარმოდგენებს ფსევდოდოგმატური პოზიციებიდან და არა ფაქტებსა და ნივთიერ დასაბუთებას. საბოლოო ანგარიშით კი იგი გამოდის როგორც იდეალისტური ეკონომიკური პოლიტიკა.

რესპუბლიკაში არსებულ განსაკუთრებით რთულ ეკონომიკურ პირობებში ამ პრობლემების არასწორი გადაწყვეტილების ყოველგვარი ცდა უარყოფითად იმოქმედებს არა მარტო სახალხო მეურნეობაზე, არამედ თითოეული ადამიანის ბედზეც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი არასწორი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით შეიცავს წინააღმდეგობას ფეთქებადი სოციალური კატასტროფის შესაძლებლობების სახით.

ზურაბ უსტიაშვილი,

სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქ. თბილისის ვაკის რაიონის ადგილობრივი საარჩევნო კომისიისაგან

1991 წლის 31 მარტს ვაკის რაიონის საკრებულოს №12 საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შეჯამებისას გამოვლინდა საარჩევნო კანონის უხეში დარღვევები:

ვაკის რაიონის ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ 1991 წლის 4 აპრილს განიხილა აღნიშნული საკითხი და ბათილად ცნო არჩევნები №18 საარჩევნო უბანში.

იმის გამო, რომ აღნიშნულ საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის 10 პროცენტზე მეტია, „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი №12 საარჩევნო ოლქში და ზემოაღნიშნული კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად, კვირას, 14 აპრილს, დაინიშნა არჩევნების მეორე ტური. ამ ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს.

საქინფორმი.

საზღვარგარეთ

ანტალიაში დამთავრდა საერთაშორისო სიმპოზიუმი

უნდა გაფართოვდეს ინფორმაციის გაცვლა საქმიან წრეებს შორის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონიუნქტურისა და გამოცდილების შესწავლის მიზნით — ასეთია ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომელიც გამოიტანა სამშაბათს აქ დამთავრებულმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა „თურქეთი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში“.

დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა სექციების სხდომებზე, აგრეთვე თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებისა და მათი პოლონელი, რუმინელი, ბულგარელი, ჩეხეთ-სლოვაკიელი, იუგოსლაველი და საბჭოთა პარტნიორების ორმხრივი კონტაქტების დროს.

საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანებების წარმომადგენლებთან, აგრეთვე უკრაინის, საქართველოს, და სომხეთის დელეგაციებთან თურქ ბიზნესმენთა შეხვედრაზე გაიმართა კონსტრუქციული აზრთა გაზიარება საქონელბრუნვის გაფართოების გზების, თანამშრომლობის ახალი ფორმების გამოყენების თაობაზე. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ოფიციალური ვიზიტის დროს ამ მხრივ მიღწეულ მორიგებებს, რომლებიც ბაზას უქმნის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გააქტიურებას. ამავე დროს აღინიშნა, რომ არსებობს უკვე უახლოეს 3-4 წელიწადში 4-6 მილიარდ დოლარამდე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის ზრდის, აგრეთვე მომდევნო საუკუნის დამდეგს 10-12 მილიარდ დოლარამდე მისი დონის ამაღლების რეალური შესაძლებლობანი.

თურქეთ-საბჭოთა კავშირის საქმიანი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკავშირო რეფერენდუმის დადებითი შედეგები პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების პერსპექტივებზე, აგრეთვე ამცირებს საბჭოთა პარტნიორებთან მუშაობის რისკის დონეს. კმაყოფილებით შეხვდნენ თურქეთ-საბჭოთა კავშირის საქმიანი საბჭოს თავმჯდომარის ნიჰათ გეკიოგლის ინფორმაციას საბჭოს ფარგლებში პირველი სამი ქვეკომისიის შექმნის შესახებ, რომლებიც დახელოვნდებიან უკრაინასთან, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ანალოგიური კომისიები, რომლებიც შერეული სავაჭრო პალატების როლს ასრულებენ, შეიქმნება აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ვაჭრობის განვითარებისთვისაც მათთან ურთიერთობის განმტკიცების კვალობაზე.

პოლონეთის პრეზიდენტი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს

ბრიუსელი. (საქინის კორ. ვ. ზაზკოვი). პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ ვალენსა, რომელიც ბელგიის დედაქალაქში ოფიციალურ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა ევროპის გაერთიანების ხელმძღვანელობის მოწვევით, შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს მანფრედ ვერნერს. მათ განიხილეს სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნასთან და ნატოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრა გაიმართა პოლონეთის ბრიუსელის საელჩოში. მისი დამთავრების შემდეგ ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა ვალენსა, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროდ მიაჩნია ნატოს შენარჩუნება კონტინენტზე საყოველთაო უშიშროების სისტემის შექმნის წინარე გარდამავალ პერიოდში. მან თქვა, რომ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურების დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები „სიცარიელეში აღმოჩნდნენ“, და ამავე დროს აღნიშნა, რომ პოლონეთი არ აპირებს ნატოში შესვლას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთიან ევროპას, რომელშიც შევა საბჭოთა კავშირი, თქვა პრეზიდენტმა. ახლა ახალი ეპოქა დგება, და უნდა ვეძებოთ ახალი მიდგომები. ჩვენ არ გვინდა, რომ სსრ კავშირს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ რაღაცას ვცდილობთ მის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, ვერნერმა მოლაპარაკება დაახასიათა როგორც „საინტერესო, სასარგებლო და უაღრესად გულახდილი“. ჩვენ გვაერთიანებს საერთო მიზანი, — აღნიშნა მან, — ევროპაში უშიშროების განმტკიცება. მისი გზა სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნაა, რომელიც მოიცავდა ყველა ქვეყანას, მათ შორის სსრ კავშირს. ნატოს გენერალურმა მდივანმა მხარი დაუჭირა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაფართოებას როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში, ასევე ორმხრივ დონეზე, მათთან დიალოგის გაფართოებას.

მთავრობის ჯარებმა მოსპეს ასობით აჯანყებული

სუდანის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ მთავრობის ჯარებმა წუხელ მოსპეს ასობით აჯანყებული ქვეყნის სამხრეთში. როგორც ადგილობრივ რადიოზე დაყრდნობით რეიტერის სააგენტო იუწყება, ეს მოხდა აღმოსავლეთ ეკვატორიულ პროვინციაში ბრძოლების დროს.

აღნიშნავენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო ფორმირებანი გააძევეს ამ რაიონიდან. უკან დახევისას მათ დატოვეს დიდძალი მძიმე და მსუბუქი იარაღი, აგრეთვე ტექნიკა და საჭურველი.

ამავე დროს, აჯანყებულთა განცხადებით, მათ მოახერხეს გაენადგურებინათ მთავრობის ჯარების გარნიზონი ეკვატორიული რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ ჯუბის მახლობლად. ბრძოლების დროს სუდანის არმიის რეგულარულ ნაწილებს დაუხოცეს 150 კაცი. როგორც აჯანყებულები ამტკიცებენ, სუდანის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ქვეგანაყოფები მიიწევენ ჯუბისაკენ, რომელიც მთავრობის ჯარების ხელშია. პოლკოვნიკ ჯონ გარანგის ხელმძღვანელობით სუდანის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია სუდანის ცენტრალურ ხელისუფალთ 1983 წლიდან ებრძვის. აჯანყებულები მოითხოვენ ქვეყნის სამხრეთ რაიონებს მეტი ავტონომია მიანიჭონ და ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმები განახორციელონ.

თეორია — „მოსკოვი მესამე რომია“ — დღევანდელობის პრიზმაში

დღეს, როდესაც მოსკოვის იმპერიის დამხობა ისტორიის განვითარების ლოგიკურ აუცილებლობად აღიქმება, წითელი არმია და შოვინისტურად განწყობილი მოსახლეობა გააფთრებით ებღაუჭება ყავლგასულ წარსულს. ისინი ვერ ელევიან დიდი და მითიური რუსეთის როლს, რომელიც თითქოსდა ყველას ჭკუის დამრიგებელი და მაგალითის მიმცემია. რუსოფილები აცხადებენ, რომ თუ რუსეთმა ხელიდან გაუშვა სხვა ხალხების მართვის სადავეები, კაცობრიობა დაიღუპებაო. ვინც ამ აზრს ამტკიცებს, იშველიებს თეორიას „მოსკოვი მესამე რომია“.

რაშია ამ თეორიის არსი?.

მე-15 საუკუნეში, რუსეთის სწრაფ ზრდას მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები დაემთხვა. თურქთა ტომები ისე გაძლიერდნენ, რომ 1453 წელს კონსტანტინოპოლი დაიპყრეს, ბიზანტიის სატახტო ქალაქი, რომელიც მთელი მსოფლიოს „ქრისტიანობის ბურჯად“ ითვლებოდა.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის ქვეყნებზე, რომლებსაც თურქების აგრესია დაემუქრათ, აგრეთვე რუსეთსა და საქართველოზე. ამ ამბებთან დაკავშირებით მოსკოვის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. წარმოიშვა იდეა, რომ ამიერიდან მოსკოვია ქრისტიანობის დედაბოძი, „მსოფლიო სამეფოს“ ერთადერთი მემკვიდრე, „მესამე რომი“, ნაცვლად დამხობილი „მეორე რომისა“ (კონსტანტინოპოლისა).

ყველაზე უფრო ნათლად და მკვეთრად ეს თეორია ბერმა ფილოფეიმ ჩამოაყალიბა თავის წერილში ვასილ III-სადმი, დაახლოებით 1510 წელს.

ქვეყანაზე, ბერი ფილოფეის აზრით, შემთხვევითი არაფერია, ყოველივე ღვთის ნებით ხდება. მაღალ ღმერთს კაცობრიობა წინასწარ დაგეგმილი გზით მიჰყავს, რომელიც მან მხოლოდ ძველ წინასწარმეტყველთ გაუმხილა. წინასწარმეტყველთა მოწმობით კი კაცობრიობის ისტორია „მსოფლიო სამეფოთა“ თანმიმდევრული ცვლაა: ერთ სამეფოს მეორე ცვლის, რომლის მცხოვრებნი უფალს აურჩევია. კაცობრიობის ისტორიული განვითარების წრე სამი სამეფოს ამაღლებითა და დაღუპვით დასრულდება. ორი მათგანი უკვე დაეცა, ძველი და ახალი რომი (კონსტანტინოპოლი). ჭეშმარიტად ქრისტიანული სარწმუნოების ერთადერთ დამცველად და ბურჯად მოსკოვის სამეფო დარჩა. ეს არის მესამე რომი, უკანასკნელი „მსოფლიო სამეფო“, რომლის ამაღლებისა და დაღუპვის შემდეგ თვით კაცობრიობის არსებობაც შეწყდება. ამგვარად, ასკვნის ფილოფეი, მოსკოვის სამეფოს უმაღლესი მისია თვით ღვთის განგებით აქვს მინიჭებული. რუსეთი ერთადერთი მემკვიდრეა ძველი და ახალი რომისა და ეს უდავო ფაქტია.

ფილოფეის თეორია, რელიგიურთან ერთად, ღრმად პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს, რომელიც მომდევნო დროის რუსმა თვითმპყრობლებმა აიტაცეს.

თეორია „მოსკოვი მესამე რომია“, განსაკუთრებულ გაქანებას პეტრე პირველის მეფობის პერიოდში აღწევს, რომელმაც მსოფლიოს დაპყრობის საიდუმლო გეგმა შეიმუშავა. მან რუსეთის იმპერია შექმნა და კავკასიის დაპყრობასაც ცდილობდა, რათა უფრო ახლოს გასულიყო სტამბოლის მისადგომებთან. პეტრემ, ფაქტობრივად თავის გავლენაში მოაქცია ვახტანგ VI. იგი ირანის ხელისუფლებას წაჰკიდა და აიძულა დიდ ამალასთან ერთად რუსეთისათვის შეეფარებინა თავი. ამით მან საქართველო ფაქტობრივად უინტელიგენციოდ დატოვა. მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში და ცხოვრების ევროპული წესების რუსეთში გადმოტანა, პეტრეს აზრით, რუსეთს მსოფლიოს დაპყრობას გაუადვილებდა. პეტრე პირველის საიდუმლო გეგმები მსოფლიოს დაპყრობის შესახებ დღის სინათლეზე ფაშისტური გერმანიის ხელისუფლებამ გამოიტანა. ამ ფაქტს მოდერნიზებული რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი მძლავრი საპასუხო პროპაგანდით გამოეხმაურა.

არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ბოლშევიკური რუსეთის ე. წ. „სოციალისტური“ საქმიანობა მსოფლიოს დაპყრობისაკენ იყო მიმართული. ლენინმა ერთ-ერთ თავის ცნობილ რადიოგამოსვლაში „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?“ პირდაპირ განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლება უახლოეს მომავალში მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს“-ო. ეს, სხვა არა იყო რა, თუ არა ჩვენს პლანეტაზე მოსკოვის ბატონობა.

ლენინის საქმის ღირსმა განმგრძობმა სტალინმა მოახერხა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 11 სახელმწიფოს „გაწითლება“ და ე. წ. „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ შექმნა. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში კრემლის იმპერიის ძლიერება ზენიტს აღწევს, შემდეგ კი მისი დაქვეითების პერიოდი იწყება. დღეს ჩვენ იმპერიის საბოლოო დაშლის მოწმენი ვართ. ეს პროცესი გარდაუვალია, თუმცა, მოსკოვის ახლანდელი ხელმძღვანელობა მის შესაჩერებლად ყოველ ღონეს ხმარობს.

ნურავინ იფიქრებს, რომ გორბაჩოვის ე. წ. „პარფიუმერული“ ღონისძიებები საგარეო პოლიტიკაში და ფსევდოდემოკრატიული ღონისძიებები საშინაო პოლიტიკაში მოსკოვის იმპერიული ზრახვებისაგან უარის თქმაა. პირიქით, გორბაჩოვი ცდილობს იმპერიის ხომალდი, რომელიც იძირება, ზედაპირზე გააჩეროს, სული მოათქმევინოს და შემდეგ კვლავ იფიქროს მსოფლიო ჰეგემონიაზე.

ამიტომ, საბჭოთა იმპერიის ნებისმიერი დახმარება მავნებელია. პირველ ყოვლისა, ეს დასავლეთს ეხება, რადგან დღევანდელი საბჭოთა კავშირი დესპოტური სახელმწიფოა, რომელიც ანარქიას მოუცავს. რა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ ვამტკიცოთ: უნდა დავეხმაროთ გორბაჩოვს, რათა მან დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოსო ანუ საბჭოთა იმპერია დაშალოსო. რა გარანტია გვაქვს, რომ ვიფიქროთ, მოძლიერებული კრემლი დაპყრობილ ხალხებს თავისუფლებას უბოძებს. პირიქით, ბაქოს, თბილისის, ვილნიუსის, რიგის ხოცვა-ჟლეტა ნათლად მიგვანიშნებს, რომ კრემლის დღევანდელი ხელისუფლებისაგან სიკეთე მოსალოდნელი არ არის. ისინი მოსკოვის განსაკუთრებული როლის იდეის მატარებელი ხალხია და უმალ მთელ ქვეყნიერებას დაღუპავენ, ვიდრე თვალებს გაუსწორებენ სიმართლეს.

ასე რომ, საქართველოს მოსახლეობას ნუ უკვირს იმპერიული საინფორმაციო საშუალებების ფრონტალური შეტევა საქართველოზე. ნუ უკვირს, როდესაც პროგრამა „ვრემია“ და სხვა გადაცემები აშკარა შეუსაბამობას გადმოსცემენ, საქართველოს აშკარა სამხედრო ინტერვენციით რომ ემუქრებიან. სხვაგვარად მათ არ შეუძლიათ, რადგან ნათლად ხედავენ, რომ საქართველოს განთავისუფლება დიდი და მითიური რუსეთის იმპერიის გამანადგურებელი პოლიტიკური და, რაც მთავარია, ბევრის მანიშნებელი ფსიქოლოგიური მარცხი იქნება.

ზურაბ სიხარულიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ერაყ-ქუვეითის კრიზისის მოწესრიგების საფუძვლებზე

კაირო, 3 აპრილი. (საქინის კორ. მ. კოჩეტკოვი, ე. მენკესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დღეს ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ერაყ-ქუვეითის კრიზისის მოწესრიგების საფუძვლებზე. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 12 ქვეყანამ, მათ შორის საბჭოს ყველა მუდმივმა წევრმა — დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთმა, სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა. თავი შეიკავეს იემენმა და ეკვადორმა. წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ კუბამ.

დოკუმენტი იწონებს ქუვეითის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. გათვალისწინებულია მოწესრიგდეს ერაყსა და ქუვეითს შორის ყველა სასაზღვრო საკითხი, მათ შორის საზღვრის დემარკაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს სთხოვენ სამ დღეში წარუდგინოს უშიშროების საბჭოს რეგიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის დაუყოვნებლივ განლაგების გეგმა.

უშიშროების საბჭომ, კერძოდ, მოითხოვა, რომ ერაყმა ყოველგვარი პირობების წამოუყენებლად გაანადგუროს საერთაშორისო კონტროლის პირობებში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მთელი არსენალი, აგრეთვე 150 კილომეტრზე მეტი სიჩქარის ყველა ბალისტიკური რაკეტა. ამ სფეროში კონტროლის განსახორციელებლად გათვალისწინებულია შეიქმნას საგანგებო კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ეგიდით. ერაყი აგრეთვე უნდა დათანხმდეს, რომ არ შეიძენს და არ შეიმუშავებს ბირთვულ იარაღს ან მასალებს, რომლებიც ბირთვული იარაღის საწარმოებლად გამოდგება.

დოკუმენტში აღნიშნულია ერაყის პასუხისმგებლობა ქუვეითისა და სხვა სახელმწიფოებისათვის მიყენებული ზარალისთვის. გათვალისწინებულია კომპენსაციათა გადახდის მექანიზმის შექმნა. ამ მიზნით გადაწყვეტილია შეიქმნას საგანგებო ფონდი. ერაყის წინააღმდეგ სანქციები თანდათანობით გაუქმდება. უშიშროების საბჭომ დაადასტურა ერაყისთვის იარაღის მიწოდების სრული აკრძალვა.

ცეცხლის ოფიციალური შეწყვეტა ძალაში შევა, როგორც კი ერაყი აუწყებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ მზად არის შეასრულოს მიღებული რეზოლუციის დებულებანი.

მსოფლიოში ყველაზე პატარა ტუმბო

გერმანელმა ინჟინერ-გამომგონებელმა აქსელ რიხტერმა შექმნა ტუმბო, რომლის მუშა მოცულობა სულ სამი მეათასედი კუბური სანტიმეტრია და შეუძლია საათში გადატუმბოს 1,2 ლიტრი სითხე. მსოფლიოში ამ ყველაზე პატარა ტუმბოს ავტორს გადაეცა დიპლომი და ფულადი პრემია, რომელიც კონცერნმა „ფილიპ მორისმა“ დააწესა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის კონკურსის ფარგლებში.

კონკურსის შედეგებმა ცხადყო, რომ ნოვატორთა და გამომგონებელთა მოძრაობა მეტად პოპულარულია გერმანიაში, ხოლო ამგვარი ნამუშევრებით ძალზე არიან დაინტერესებული ფირმები და კონცერნები. სულ კონკურსში მონაწილეობდა 80-ზე მეტი გამომგონებელი, მაგრამ მათგან მხოლოდ ოთხს გაუღიმა ბედმა, როცა ერთად 120 ათასი მარკა მიიღეს.

მანქანათმშენებელმა ალექს ფალერმა მიიღო პრიზი ვერტმფრენის თვისებრივად ახალი მოდელის შემუშავებისათვის, რომელიც ისეთნაირად შექმნა, რომ იგი იოლად გადის მთავარი ტრანსმისიის, გადაბმულობისა და კუდის ხრახნის გარეშე. ამის მეოხებით მანქანა სამართავად განსაკუთრებულად მარტივია.

პროფესორ გულდოლფ კოლმაიერს მიენიჭა პრემია მეცნიერული მოდელის შემუშავებისათვის, რომელიც დედამიწის კლიმატის შეცვლის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, ხოლო პროფესორ იურგენ ვარნაცს — ეკოლოგიურად უფრო ხალასი წვის ტექნოლოგიის შექმნისათვის.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და მისი დედაქალაქი კეიპტაუნი დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთვის ცხრა მთას იქითა ქვეყანა იყო. თავისუფლების მოყვარე ბურებისა და ინგლისელი კოლონისტების ჩამომავლების სამშობლოს მხოლოდ უბადლებული სიტყვით „აპარტეიდით“ ვიცნობდით. სინამდვილეში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დიდად განვითარებული, კულტურული და კოსმოსური სახელმწიფოა. აფრიკაში გამომუშავებული ელექტროენერგიის თითქმის ნახევარი მასზე მოდის. შორს არ არის ის დრო, როდესაც მას უკეთ გავიცნობთ.

სურათზე: კეიპტაუნის ერთ-ერთი ქუჩა.

დიდი მნიშვნელობის მოვლენა

დიდი მოვლენა მოხდა ევროპის ცხოვრებაში. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პარიზის ქარტიის შესაბამისად, რომელიც მიიღეს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა უმაღლესი დონის შეხვედრაზე, კონტინენტის ისტორიაში პირველად შეიქმნა საერთო-ევროპული საპარლამენტო ორგანო — ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საპარლამენტო ასამბლეა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტარების შეხვედრაზე.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საპარლამენტო ასამბლეა, რომელშიც 245 პარლამენტარია, შეიკრიბება წელიწადში ერთხელ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით, რომლებმაც უნდა განამტკიცოს ევროპაში თანამშრომლობა და უშიშროება. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ასამბლეას ექნება მუდმივი სამდივნო. მიღწეულია მორიგება, რომ ასამბლეის პირველი სესია 1992 წლის ივლისში მოეწყობა ბუდაპეშტში.

ესტონეთ-შეერთებული შტატების შეხვედრის შესახებ

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არნოლდ რუიტელი და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ლენარტ მერი ვაშინგტონში შეხვდნენ ჯერ სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს, შემდეგ კი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს.

პრეზიდენტმა ბუშმა დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები არ ცნობენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიას საბჭოთა კავშირის მიერ. ბუში დათანხმდა ესტონეთის მხარის წინადადებას, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გაიხსნას ამერიკის წარმომადგენლობები. ბუშმა დიდი დაინტერესება და ამასთან შეშფოთება გამოთქვა ბალტიის ქვეყნების მოსკოვთან მოლაპარაკების შედეგების გამო. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, ბალტიისპირელთა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შეუქცევადი პროცესი უნდა იყოს და ეს მთელმა მსოფლიომ კარგად უნდა დაინახოს.

ესტონეთის ხელმძღვანელმა პრეზიდენტ ბუშს გადასცა ბალტიის ქვეყნების საბჭოს მოწოდება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებს განიხილავდა.

ამერიკის ხელმძღვანელობამ მოიწონა ეს იდეა.

ესტონეთ-შეერთებული შტატების მოლაპარაკება თვალსაჩინო საერთაშორისო მოვლენაა ბალტიისპირეთის და კერძოდ, ესტონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესში.

დაიღუპა სენატორი ჯონ ჰაინცი

პატარა კერძო თვითმფრინავი „აეროსტარ პი-ეი-90“, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატორი ჯონ ჰაინცი გადაჰყავდა, ხუთშაბათს ნაშუადღევს შეეჯახა ვერტმფრენს პენსილვანიის შტატის ფილადელფიის გარეუბნის თავზე. ცეცხლწაკიდებული მანქანები ადგილობრივი სკოლის ეზოში ჩამოვარდა. თავდაპირველი შეფასებით, კატასტროფაში დაიღუპნენ თვითმფრინავის ორივე პილოტი და თვით სენატორი. დაიღუპა აგრეთვე ვერტმფრენავში მყოფი ორი კაცი; როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, — მოსწავლე და მოზრდილი რამდენიმე ბავშვი მსუბუქად დაშავდა.

კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკელი სენატორი ჯ. ჰაინცი ამერიკის შეერთებული შტატების ზედა პალატაში არჩეული იყო პენსილვანიის შტატისაგან. თავისი მესამე ვადის მანძილზე სენატში ეკავა მნიშვნელობით მეორე პოსტი ქალაქების ბანკების, საბინაო მშენებლობისა და პრობლემების საქმეთა სენატის კომიტეტში. ჰაინცი იყო შეერთებულ შტატებში უცხოეთის კომპანიების, მეტადრე მეტალურგიული კომპანიების საქმიანობის შეზღუდვის შემოღების მომხრე.

როგორც მისი პაპის მიერ დაარსებული „საწებლების იმპერიის“ მემკვიდრე, ჯ. ჰაინცი იყო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სენატორი. მისი ქონება 1979 წელს 9-დან 16 მილიონ დოლარამდე იყო შეფასებული.

ბირთვული აფეთქება ნევადაში

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მორიგი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება განახორციელა ნევადის უდაბნოს პოლიგონზე. ბომბის აფეთქების სიმძლავრე იყო 20-დან 150 კილოტონამდე.

გამოცდა „ბაერის“ კოდური სახელწოდებით, სამხედრო მიზნებით იყო განხორციელებული. იგი სათვალავით უკვე მეორეა წელს.

აფეთქების წინ პოლიგონის დაცვამ დააპატიმრა 47 ომის მოწინააღმდეგე დემონსტრანტი, რომლებმაც პოლიგონისაკენ მიმავალი ავტომაგისტრალი ჩახერგეს.

ავიამექანიკოსთა გაფიცვა

ეროვნული ავიაკომპანიის „იუატის“ ავიამექანიკოსთა მოულოდნელმა გაფიცვამ დღეს შეძრა იუგოსლავიის აეროპორტები. გაფიცვის გამო ჯერ შეწყდა თვითმფრინავების რეისები საშინაო ხაზებზე, ხოლო შუადღისათვის დანარჩენ რეისებზეც. გაფიცულნი ავიაკომპანიის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვენ თებერვლისა და მარტის ხელფასის სრულად გაცემას. ისინი უარს ამბობენ ფრენის დავთარში შეიტანონ კანონით დაწესებული აღნიშვნა თვითმფრინავების ტექნიკური გამართულობის შესახებ, სანამ არ შეასრულებენ მათს მოთხოვნებს.

ბელგრადის აეროპორტის „სურჩინის“ საფრენ მინდორზე უკვე ათობით თვითმფრინავი დაგროვდა, ხოლო მოსაცდელ დარბაზებში ათასობით მგზავრი იტანჯება.

იუგოსლავიის ავიაკომპანია „იუატი“ უკვე რამდენიმე თვეა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია, რაც გამოიწვია სატარიფო და საინვესტიციო პოლიტიკაში მისი უწინდელი ხელმძღვანელების შეცდომებმა. ახლახან ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო ავიაკომპანიის პერსონალისათვის ხელფასის შემცირებისა და გაყინვის გზით კრიზისიდან გამოსვლის გადაწყვეტილება.

სასოფლო-სამეურნეო ავსტრია

ავსტრია ინდუსტრიული და დიდად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის ქვეყანაა. იგი ტერიტორიით საქართველოზე ოდნავ დიდია. აქ არის 300 ათასამდე კვების საწარმო, რომლებშიც დასაქმებულია 240 ათასი კაცი (დასაქმებული მოსახლეობის 7 პროცენტი). ისინი მთლიანად აკმაყოფილებენ ქვეყნის მოთხოვნილებას და ზოგიერთი მაჩვენებლით აჭარბებენ კიდევაც მას. გაზეთ „კურიერის“ მონაცემებით ავსტრიაში ფქვილის 70 პროცენტითა და ხორცის 6 პროცენტით მეტს ამზადებენ, ვიდრე სჭირდებათ.

1989-90 წლებში ერთ სულ მოსახლეზე 102 ლიტრი რძე მოდიოდა, 92 კილოგრამი ხორცი, 80 კილოგრამი ბოსტნეული, 76 კილოგრამი ხილი, 65 კილოგრამი ფქვილი, 62 კილოგრამი კარტოფილი, 36 კილოგრამი შაქარი, 30 კილოგრამი ცხიმები, 8 კილოგრამი ყველი.

საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე დღეში 3 ათასი კალორია გამოდის. ექიმთა მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი 2400 კალორიას არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად იმისა, ცხოვრების ზომიერი წესის გამო ავსტრიელებს ზედმეტი წონა არ აწუხებთ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე ქ. თბილისის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 5 აპრილი.

მამულიშვილნო!

ორი საუკუნის წინ კირით შეთეთრებული ეკლესიების მწუხარებით დადუმებულნი გაუღწეველი სულიერი არსის სიშორეებიდან უკუვიქეცით და განვეშორეთ წმიდა მადლით შემოსილ სიტყვას უფლისას... ჩაუმქრალია თვითდადგინებისათვის გამართულ საკაცობრიო ფერხულის წრებრუნვაში ეს ქართველისათვის ისტორიულად სიშორეს მიპყრობილი მილმიერი თვალი, ოდითგან რომ მიჰქროდა სიმარტოვიდან სილამაზისაკენ, არნახული დროებისაკენ, ვარსკვლავთა შორის ზღაპარივით განვლილი სიცოცხლით, სამარადჟამო ბრძოლის ველივით. შავი ზღვითა და კავკასიონის მთელვარე მწვერვალებით შემოსაზღვრულნი, ვქმნიდით დიდებულ მეტყველ პოეტურ ენას, დანავრულ ვაზის ლერწებივით ჩახვეულ მრავალხმოვან სიმღერებს; ვკარგავდით გვარებს, სახელებს, წიგნთსაცავებს, გადამწვარ სოფლებსა და ქალაქებს. მასტვენარი მახვილის იმედით ვფრენდით ვახტანგ, დავით, თამარ, ცოტნე, დემეტრე, სოლომონ... დღეს კი ახალი გაურკვევლობით ხმაურობს ყოველდღიურ საზრუნავში ფერადოვანი ძალმოსილებით ჩართული მსოფლიო... საწუთროო ქარში ძველი სისხლის დაყივლებაზე, დავითის ლოცვა-კურთხევით, ისევ გაიშლება დიდგორს, ბასიანს, ტაშისკარს გაუხრელი სამეფო დროშები ძმური ერთიანობით მკვიდრად ნაშენი სიყვარულით, ბუკისა და ნაღარის ხმაზე, ახალ, დიად გამარჯვებათა მაუწყებლად...

გვფარავდეს ღვთის მადლი, მარიამის ლოცვა, წმ. გიორგის მარჯვენა!

ბატონიშვილი ბაგრატ ბაგრატიონი დე ბურბონი.

ინტერვიუ

რობერტ ინგლიში:

„მწამს საქართველოს დამოუკიდებლობისა“

ამერიკელი პოლიტოლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სპეციალისტი რობერტ ინგლიში თბილისში ჩამოვიდა თავის მეუღლესთან ელიზაბეტ ტაკერთან — ყოველკვირეული „ნიუსუიკის“ კორესპონდენტთან ერთად საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის გამართვის მეორე დღეს. როგორც მან თქვა, მათი ვიზიტის მიზანია ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი სულ უფრო მზარდი ინტერესი.

— სწორედ ამიტომ, — თქვა ბატონმა ინგლიშმა, — ვიმყოფები თქვენს დედაქალაქში. ერთი წლის წინათ პირველად ჩამოვედი საქართველოში 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების წლისთავთან დაკავშირებით, როცა მთელმა მსოფლიომ თვალნათლივ შეიგნო კომუნისტური დემოკრატიის ფასი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერებმა გარდაქმნა უწოდეს.

— ბატონო ინგლიშ, რას იტყვით იმ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე?

— პირველი, რაც მაშინ დავასკვენი მოვლენათა მთელი მასიდან, იყო ის, რომ აპრილის ტრაგედიას არ გაუბოროტებია ქართველები რუსი ხალხის მიმართ. ეს, ჩემი აზრით, მოწმობს თქვენი ხალხის დიდსულოვნებასა და მორალს. სწორედ ამიტომ ვერ გატეხეს მას კრემლის ბოლშევიკები.

— როგორ აღიქვამთ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციას?

— თქვენი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ნაკარნახევია მის წარმომადგენელთა უმრავლესობის შეგნებული საჭიროებით, იყოს თავისუფალი, შექმნას საქართველოს ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფო. სწორედ ამან დარაზმა თქვენი ხალხი. რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირს ვაფასებდი მისი საგარეო პოლიტიკის გამოვლინებებით. აქ უკვე ორი წელია ვცხოვრობ და შემიძლია ვთქვა, რომ ეს სულაც არ არის ასე. სხვათა შორის, მსოფლიოს წამყვან პოლიტოლოგთა უმრავლესობამ ძირეულად შეცვალა თავისი დამოკიდებულება სსრ კავშირის რესპუბლიკებისადმი. ისინი გულდასმით სწავლობენ საქმის ვითარებას ამ ქვეყნის თითეულ რეგიონში და, მათ შორის, საქართველოში.

— ბატონო ინგლიშ, თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ქართველების გარდა ცხოვრობენ აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, ოსები და სხვები. თუ ვიმსჯელებთ რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგებით, რას იტყოდით ქართველთა ურთიერთობაზე ამ ხალხების წარმომადგენლებთან, რომლებსაც, აფხაზების გარდა, სახელმწიფოებრიობა აქვთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

— როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას და, ბუნებრივია, სსრ კავშირიდან გასვლას. ამას ადასტურებენ აგრეთვე საზღვარგარეთის მოქალაქეები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ რეფერენდუმის მიმდინარეობას. ამრიგად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უმრავლესობას სურს იგივე, რაც თქვენ, ქართველებს. ისინი თქვენთან ერთად არიან დარაზმულები თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რაც შეეხება სამაჩაბლოს მოვლენებს, ვიტყვი, რომ ოსური სინდრომი ცენტრის მიერ ხელოვნურადაა შექმნილი. თვით ოსებმაც კი აღიარეს იგი. ცოტა როდი თვლის, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პაიკები არიან დიდ თამაშში. ჩემთვის საწყენია ის, რომ ოსები, რომლებიც რამდენიმე საუკუნე ცხოვრობენ საქართველოში, და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მშვიდობიანად, მეგობრულად და სიყვარულით ცხოვრობდნენ თქვენს გვერდით, აჰყვნენ კრემლის პროვოკაციებს. დღეისათვის გამიჭირდება რაიმე გარკვეული პროგნოზის გაკეთება ამ პრობლემის თაობაზე.

— თქვენ გწამთ სსრ კავშირის დაშლის?

— რუსეთის იმპერიამ თავისი გაგრძელება პოვა სსრ კავშირის სახით. მრავალი საზღვარგარეთელი პოლიტიკოსი, მათ შორის პოლიტოლოგებიც მიიჩნევენ, რომ წარმოუდგენელია სსრ კავშირის მთლიანი დაშლა. მეორე მხრივ, საბჭოთა იდეოლოგები გამოთქვამენ საკმაოდ მოუფიქრებელ არგუმენტებს სსრ კავშირის ერთიანობის სასარგებლოდ: ევროპის ქვეყნები იწყებენ ცხოვრებას ერთად უსაზღვრებოდ, იქმნება ერთიანი ევროპული ვალუტაო და ასე შემდეგ, საბჭოთა კავშირში კი ზოგიერთ რესპუბლიკას სურს გამოსვლა მისი შემადგენლობიდან. მათი დასკვნა ლოგიკურია. ევროპის ახლანდელ პროცესებში მონაწილეობენ თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყნები და არა რომელიმე სახელმწიფოს კოლონიები. სწორედ ამიტომ, როცა ვლაპარაკობ სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის ერთიანობაზე, მინდა აღვნიშნო, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი: თავდაპირველად მათ უნდა მიიღონ პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ, მათი ურთიერთკავშირის ობიექტური პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ გაერთიანებაზე. აი რატომ არის რესპუბლიკებისათვის თავსმოხვეული სამოკავშირეო ხელშეკრულება ანტიდემოკრატიულობის, კრემლის ხელმძღვანელთა ტოტალური იმპერიული აზროვნების გამოვლინება.

თენგიზ ჩხიკვაძე.
საქინფორმი.

სასწავლო წელი გრძელდება..

საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მაისში მთავრდება. დაწყებითი კლასებისათვის (1-4) დადგენილია, რომ საზაფხულო არდადეგები დაიწყება 18 მაისიდან. მე-5-მე-11-მე-12 კლასებში ბავშვებს ითხოვენ 24 მაისიდან. მე-11 და მე-12 კლასებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრასა და ანალიზში წერითი გამოსაშვები გამოცდების თემებსა და საკითხებს გამოაცხადებენ რადიოს და ტელევიზიის I პროგრამით 31 მაისს და 7 ივნისს 8 საათსა და 30 წუთზე.

საქინფორმი

ვალი

დედაენას შანგარო სამსახური სჭირდება

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის განხილვის დროს ითქვა: სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვას, მისი შესწავლისა და სწავლების საკითხების მოგვარებას სპეციალური სამთავრობო დადგენილება-პროგრამები სჭირდებაო. სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც ათეული საუკუნეების მანძილზე არ ჰქონდა ქართველ კაცს ასეთი დადგენილება-პროგრამები, მაგრამ დედაენას ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა არასოდეს მოჰკლებია. უფრო მეტიც — ენა ქართველი კაცის უპირველესი სალოცავი ხატი იყო. ამას, როგორც ჩანს, უცხოელის თვალი უფრო ამჩნევს. ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი ბრძანებდა, „ქართველებს თავიანთი ენის ნამდვილი კულტი აქვთო“. ოდითგანვე ქართველი კაცი ერის მთლიანობის უპირველეს პირობად ქართულ ენას თვლიდა, ენა ეროვნულობის ბურჯად მიაჩნდა. დედაენისადმი ქართველი კაცის უნიკალური დამოკიდებულების მაგალითად იკმარებდა იოანე ზოსიმეს ლექსის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და დავითის ქვაჯვარის გახსენება.

დღეს კი?., დღეს აუცილებელი გახდა სამთავრობო დადგენილება-პროგრამები, რომ ქართველმა კაცმა ქართულად ილაპარაკოს, ისწავლოს, იღვაწოს; დედაენას რომ ღირსი პატივი მიაგოს. გვახსოვს, ალბათ, რომ სამოცდაათიან წლებში სამთავრობო დადგენილება იქნა მიღებული ქართული ენის შესახებ. აზმაურდა რადიო, ტელევიზია, პრესა. ვუკრავდით ტაშს და ხოტბას ვასხამდით დედაენაზე მზრუნველ კომპარტიას... შედეგი? სავალალო. იგივე კომპარტია რუსულად ლაპარაკობდა, იღვწოდა... გვირჩევდნენ, აჯობებდა რუსულად გვესწავლა, გვეფიქრა, გვეაზროვნა. უწყებებმა, წარმოება-დაწესებულებებმა საქმე გაიიოლეს — დედაენა დაივიწყეს. ვაიქართველთა ტალღა აზვირთდა — შვილები რუსულ სკოლებში მიაბარეს... ვერ უშველა ქართულ ენას ცკ-ის დადგენილებებმა. 1975 წლიდან გვითხრეს, არ გიშლით, შეგიძლიათ დისერტაცია ქართულად დაიცვათ, ოღონდ თუ გინდათ რომ დაგიმტკიცოთ, რუსულად თარგმნეთ და გამოგვიგზავნეთ; ვიფიქრებთ, ხართ თუ არა ღირსი სამეცნიერო ხარისხისაო. ვაიქართველებმა ისევ გაიიოლეს საქმე — მაინც რუსულად უნდა ვთარგმნოთო და რუსულად დაიწყეს წერა. სამეცნიერო გამოცემათა უმრავლესობა რუსულად გადაკეთდა; ზოგ მათგანს სახელწოდებაღა შემორჩა ქართული.

ისევ ამოქმედდნენ პატრიოტული ძალები: შეახსენეს ქართველს — ქართული შენი ენაა და ქართულად წერეთ, ილაპარაკეთ, ისწავლეთო... გაჩნდა იდეა სამთავრობო დონეზე პროგრამის შედგენისა. იდეა, ასე ვთქვათ, დაბლიდან წამოვიდა. მიზანდასახულება ერთი იყო: ის, ვისაც სამსახურებრივად ევალებოდა, ეზრუნა ქართული ენის შესახებ, ეკეთებინა ქართული საქმე, ანგარიში გაეწევა სამთავრობო დადგენილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი სკამის უსაფრთხოებაზე ზრუნვა აიძულებდა, შეესრულებინა სამთავრობო პროგრამით მასზე დაკისრებული საქმე. ვიმეორებთ, ეროვნული უბედურებაა, როცა ქართველ კაცს დავალება სჭირდება, შენს ენას პატივი ეცი, მოუარე და უპატრონეო!.. სხვა გზა არ იყო: სალიტერატურო ენა შველას ითხოვდა და შეიქმნა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. ყველა ძირითადი პრობლემა, რაც ქართული ენის წინაშე იდგა, ამ პროგრამაში იყრიდა თავს. კონკრეტულად დაევალათ ამა თუ იმ უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რა უნდა გაეკეთებინათ. მათთვის, ვინც პროგრამა ჩაიფიქრა და შეადგინა, ეს იყო ერთადერთი გზა დედაენის სასიკეთო საქმეთა კეთებისა; რადგან გვჯეროდა და ახლაც გვჯერა, რომ ცალკეულ უწყებათა თუ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს თუ ზემოდან არ მიუთითეს, არც დედაენა ახსოვთ და არც დედასამშობლო. ზემოდან მითითების, დავალების მეთოდი იყო საჭირო, ქართველი თანამდებობის პირი ეროვნული საქმის საკეთებლად რომ ამოძრავებულიყო. ეს რომ ფაქტია და არ ვაჭარბებ, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. ქართული ენის შესახებ ნაშრომთა გამოცემის ორგანიზება დაევალა გამსახკომსა და მეცნიერებათა აკადემიას. ქართული ენის პროგრამა 1989 წლის 15 აგვისტოს დამტკიცდა (ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ პროექტის განხილვა 9 თვეზე მეტხანს გაგრძელდა!). წლის ბოლოსთვის კონკრეტული გეგმა მოგვეთხოვეს (ამას პროგრამა ავალებდათ), 10 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტი რა ნაშრომებს მოამზადებდა გამოსაცემად გამოცემის ვადებისა და წიგნის მოცულობის მითითებით. ჩვენც არ დაგვიყოვნებია და ასეთი გეგმა გადავეცით გამსახკომსა და მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს 1989 წლის ბოლოს. გეგმაში ისეთი ნაშრომები იყო შეტანილი, როგორიცაა მრავალტომეული „ქართული ენა“, განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, თარგმნითი, დიალექტური ლექსიკონები და სხვა. დაგვაიმედეს, მთავრობას პირობა მისცეს, ვიზრუნებთ გამოცემაზეო. გამომცემლობა „საქართველოში“ ენისა და ლიტერატურის რედაქცია უნდა შექმნილიყო... კონკრეტულად დღემდე არაფერი გაკეთებულა. გეგმაში შევიტანეთ ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც დიდი ხანია გამომცემლობებში დევს („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“, „თუშური ლექსიკონი“...); ვიფიქრეთ, იქნებ ამან დააჩქაროს გამოცემა ამ ჟანრისად მნიშვნელოვანი ლექსიკონებისა-თქო. არა, ბატონო...

ჩვენს ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოექცა. ვიფიქრეთ, ეს ფაქტი ჩვენს საგამომცემლო საქმეს სასიკეთოდ შემოაბრუნებდა. მივმართეთ ჩვენს გამომცემლებს, შევახსენეთ მოცემული პირობები და რასაც ვერ ვიფიქრებდით, ის პასუხი მივიღეთ: ის პროგრამა ძველი მთავრობისა იყოო...

დაგვერწმუნებით, ესაა პასუხი იმგვარ „მოღვაწეთა“, ვის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ: თუ მთავრობა დაავალებს, ეცდება გააკეთოს ეროვნული საქმე, არადა, რის დედაენა, რა მამული...

საინტერესოა, რატომ ფიქრობენ ეს „მოღვაწენი“, რომ ქართული ენის სამსახური იმ მთავრობის დავალებით შეიძლებოდა; ახალი მთავრობისთვის ეს ნაკლებად საზრუნავი საქმეა? პირიქით, ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ქართული ენის პრობლემა უმნიშვნელოვანესი იყო და იქნება. ამგვარ „მოღვაწეებს“ უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვა მინდა შევახსენო: „საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ამგვარ დაქვემდებარებას ან სრულიად შეწყვიტონ არსებობა... უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი... ქართველი ბავშვები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში“.

ინტერესის განელება და ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულება მხოლოდ საგამომცემლო საქმეში არ მომხდარა. პროგრამის დამტკიცებასაც კი არ დალოდებიან, პროექტის გამოქვეყნებისთანავე შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში, დაიწყეს დოკუმენტაციების, საქმიანი ქაღალდების გაქართულება, ფიქრი და ზრუნვა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე, ალმასკომებთან შეიქმნა კომისიები... ენათმეცნიერების ინსტიტუტი ლამის ვეღარ აუდიოდა დახმარების მთხოვნელთ. მაინც შევძელით თითქმის შეუძლებელი და მართლაც გაკეთდა. მრავალი სასიკეთო საქმე — გაქართულდა მრავალი დაწესებულების დოკუმენტაცია; მაგრამ ეს ენთუზიაზმი თანდათან ქრება: ბევრგან დაიშალა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები; აღარც დოკუმენტების გაქართულებას ეშურებიან...

კამპანიური ღონისძიებების მოყვარულთა საყურადღებოდ ვსვამ კითხვებს: ისევ რომ გამოცოცხლდეს ზრუნვა დედაენაზე, ახალი ეროვნული მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამა-დადგენილებაა საჭირო? ზემოთმოყვანილი ნაწყვეტი ბატონი ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან არ გვირკვევს ახალი ხელისუფლების პოზიციას დედაენისადმი? ხომ არაა აუცილებელი და საშური ყოველგვარი სამთავრობო დავალების გარეშე ვემსახუროთ დედაენას — ბურჯს ეროვნულობისას — იმ სფეროში, სადაც ვსაქმიანობთ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი სამსახურებრივი მოვალეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ კი იმას, რასაც ქართული ენა ჩვენგან მოითხოვს? არგაკეთებულისათვის თავის სამართლებელი მიზეზების ძიება არაა საქმე. მიზეზებს, მით უმეტეს დღევანდელ დღეს, მრავლად მოვიძიებთ; მაგრამ საკუთარი მოქალაქეობრივი სინდისის, ერისა და დედაენის წინაშე მართლები ვიქნებით? ვფიქრობთ, რომ არა!

გიორგი გოგოლაშვილი,
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მხატვრობა

„ოსანა ძესა ღვთისასა“!..







დაგვიდგა აღდგომა — იმედის, გაზაფხულის, მარადიული ძლიერი სისპეტაკის, ზნეობრივი სიწმინდის დღესასწაული „ოდეს ყოველი არსი ხაროს, რამეთუ აღდგა ქრისტე“.

სააღდგომოდ შესანიშნავი გამოფენა-გაყიდვა მოაწყო საქართველოს კულტურის ფონდის ფირმა „არდიექსმა“. გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია თანამედროვე ქართველ მხატვართა სასულიერო მხატვრობა — 25 ავტორის ოცდაათზე მეტი ნამუშევარი.

ქართული კულტურა — ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა არასოდეს მოსწყვეტია ბიბლიას, ქრისტიანულ ტრადიციებს — ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რელიგიურ თემას ხელოვნებაში, ქრისტესმიერი იდეები, სახეები და მეტაფორები ოდითგანვე ასაზრდოებდა ქართველთა სულიერ მონაპოვარს. საკმარისია გავიხსენოთ ბეთანიის, ყინწვისის, ვარძიის, ბერთუბნის ტაძართა ბრწყინვალე მოხატულობა.

ქართველი ერი მუდამ ღვთის რწმენით იყო ძლიერი, მაგრამ გამოხდა ხანი. „გასაბჭოებულ“, განათლებულ ხალხს იმდენი უქიჟინეს, რომ ღმერთი განდევნეს, ამოშანთეს მისი გულიდან, ჩვენში ახშობდნენ და ბინდავდნენ იმ რწმენას, რომელიც ადამიანის სიწმინდეში, პატიოსნებაში, მოყვასის სიყვარულში ხედავს საკუთარი თავისა და ერის გადარჩენას, ძალისმიერად მოხვეულმა იდეოლოგიამ შეცვალა სახვითი ხელოვნების მუდმივი, მაგისტრალური თემა, რამაც რელიგიური ფერწერის უარყოფა გამოიწვია. ჩამოწვა დიდი წყვდიადი... ბევრი რამ დაკარგა ეროვნულმა სულიერებამ. დღეს კი, საბედნიეროდ, კვლავ აღორძინების გზას დაადგა ქართული სასულიერო მხატვრობა.

ქრისტიანობა, როგორც მოძღვრება, შემოქმედს მრავალი თემის, სიმბოლოს, მეტაფორისა და ალეგორიის არჩევანის ფართო ასპარეზს რომ უშლის, ამას წინამდებარე გამოფენაც ადასტურებს.

განუკურნებელ ტკივილს აღძრავს სოსო წერეთლის — უაზროდ დაღუპული დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მხატვრის ნამუშევარი „იერუსალიმში შესვლა“.

მნახველის მოწონებას იმსახურებს ირაკლი სუთიძის „ეგვიპტეში გაქცევა“, გია გუგუშვილის „გალობა“ და „იმედი“, მერაბ ბერამიშვილის „ბაზილიკა“ და „ჯვრის ამაღლება“, ზაალ ბახანაშვილის „საიდუმლო ხმა“, ქეთი მატაბელის „მძინარე მთა“, ბესო არბოლიშვილის „ხარება“, ლევან ლალიძის „ძე შეცდომილი“, ოთარ ვეფხვაძის, ია გიგოშვილის, ნოდარ ბადურაშვილის, ლალი ლომაძის, ქეთევან ბუჩუკურის, ნოდარ ვოიტკევიჩის, ჯონი გოგაბერიშვილის, გელა მანჯავიძის, შალვა მატუაშვილის, გოგი ლაზარაშვილის და სხვათა ნამუშევრები.

ამ გამოფენაზე დამთვალიერებლებს დიდი სულის ნათელი დახვდებათ — შინაარსობრივი სიღრმით და მხატვრული ღირსებით გამორჩეული ნამუშევრები. ჩანს, რომ თანამედროვე ქართველი მხატვრები სერიოზული სულიერი ინტერესებით სულდგმულობენ, ჩვენ, ქრისტიანული ღვთისმეტყველების საკვანძო საკითხების ფერწერის ენაზე თვითმყოფადი ამეტყველების მოწმენი ვხდებით. ისინი • რელიგიურ წვდომას აღვივებენ მაყურებელში, ჩვენს სულს სინათლით, სხივით ავსებენ, თითქოს გვანთავისუფლებენ საყოფაცხოვრებო, ამაო ფუსფუსისაგან, განწმენდა და შვება მოაქვთ.

...ქრისტეს იერუსალიმში შესვლისას, თაყვანისმცემელნი ლაზარეს მკვდრეთით აღმადგენელ მესიას ძირს ბზის რტოებს უფენდნენ და ღაღადებდნენ: „ოსანა ძესა ღვთისასა!... ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა“. იერუსალიმს შესვლა ხომ ნიშანია ძველი, იუდეველთა დედაქალაქის დამხობისა და ახლის აღშენებისა, ახალი რელიგიის დამკვიდრებისა, ბნელზე ნათლის აღზევებისა.

საქართველოს აღმშენებლობას ყველაზე უფრო ღვთის რწმენა და სიყვარული სჭირდება. იგი გვაძლევინებს მრავალ განსაცდელს და გამარჯვებით მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყნამდე. ქართული ხელოვნების მიბრუნება მარადიულ თემებთან არაერთ მხატვრულ მონაპოვარს გვპირდება.

გიორგი ლალიაშვილი

• • •

სურათებზე: სოსო წერეთლის „იერუსალიმში შესვლა“, ირაკლი სუთიძის „ეგვიპტეში გაქცევა“ და ბესო არბოლიშვილის „ხარება“.

თედო ნიკოლაშვილის ფოტო.

საკუთარ სახლში

მთელი პერსონალი ფეხზე დადგა

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მესამე ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში ორი წლის ვასიკო გოგუაშვილის სენსაციურმა შემთხვევამ მიგვიყვანა.

— ეს მოხდა რამდენიმე დღის წინათ — გვიამბობს საავადმყოფოს მთავარი ექიმი მიხეილ გურამიშვილი. — ბავშვი თითქმის უიმედო მდგომარეობაში სეფსისური შოკით (კლინიკური სიკვდილი) შემოიყვანეს. მთელი პერსონალი ფეხზე დადგა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ვებრძოდით სიკვდილს. დღეს, როგორც ხედავთ, პატარა ვასიკოს მდგომარეობა სასიკეთოა და სულ მალე საავადმყოფოს ჯანმრთელი დატოვებს.

საავადმყოფოში შესვლისთანავე თვალში მოგვხვდა წესრიგი და სისუფთავე. სულ ახლახანს აქ სრული რეკონსტრუქცია მოხდა. ტერიტორიაზე აშენდა ახალი აფთიაქი, განახლდა რეანიმაციის განყოფილება, ფიზიო-თერაპიული აღჭურვილობა კი თითქმის მთლიანად შეიცვალა. მუშაობს კვლევის ახალი ცენტრი, თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა კარდიოლოგიის, სტომატოლოგიისა და ნევროლოგიის კაბინეტები.

— მინდა გიამბოთ რენტგენის ახალი აპარატის თაობაზე, რომლითაც კაბინეტი აღიჭურვა, — გვითხრა რენტგენოლოგმა თენგიზ კანდელაკმა — აპარატს ახალი ტიპის გამაძლიერებელი ეკრანები აქვს და იგი საშუალებას გვაძლევს ორნახევარჯერ შევამციროთ დასხივების დოზა. კაბინეტს აქვს გადასატანი პორტატიული აპარატი „არმანი“, რომლითაც მძიმე ავადმყოფს სურათს ადგილზე ვუღებთ.

თბილისის ოცდაოთხ პოლიკლინიკას უმზადებს რძის ნარევს აქ გახსნილი სპეციალური სამზარეულო. ამ ნარევს პატარა პაციენტები უფასოდ იღებენ. ესენი უმეტესად ხელოვნურ კვებაზე გადასული ადრეული ასაკის ბავშვები არიან.

ახლა ჩვენთვის დიდი პრობლემა აღარ არის ერთჯერადი შპრიცები, რომლებიც ზაარბრიუკენიდან მიიღო საჩუქრად ჩვენმა რესპუბლიკამ. მისი ნაწილი ბავშვთა მესამე კლინიკურ საავადმყოფოს გადაეცა. არც დეფიციტური წამლების ნაკლებობაა.

საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოდიან ექიმები ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე, სადაც ორი წლით გადიან ორდინატურას. ეს კათედრა საავადმყოფოს ერთ-ერთი მძლავრი მეცნიერულ-კვლევითი კერაა.

— ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი — გვიამბობს ქალბატონი ქეთევან ნემსაძე— მაგრამ ექიმის გამორჩეული გულისხმიერება და მაღალი კვალიფიკაცია ის პირობაა, რომელიც სიკვდილს ამარცხებს. ეს რომ არა, გაგვიძნელდებოდა პატარა ვასიკოს მეორედ დაბადება. და ბოლოს, მთელი მედპერსონალის სურვილია, რომ უახლოეს ხანში მოხდეს სამედიცინო სამსახურის სოცდაზღვევით ფინანსირებაზე გადაყვანა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამკურნალო დაწესებულებათა მატერიალურ ბაზას.

ზულიკო მარკოზაშვილი
საქინფორმის კორ.

• • •

გერმანიის „ვინკლერ უნდ დონეპერის“ ფირმის წარმომადგენლებმა თბილისის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს გადასცეს 21 ათასი ერთჯერადი შპრიცი, რომლებიც ნახევარ წელიწადს ეყოფა ორმოც ადგილიან განყოფილებას.

სურათზე: შპრიცების გადაცემის დროს.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წერილები რედაქციას

საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას, „საქართველოს რესპუბლიკას“

4 აპრილს „მოამბით“ გადაიცა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორის უფროსის ტარიელ დილიბაზაშვილის (?!) განცხადება, რის თანახმადაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი პასუხი (ამავე გაზეთში დაბეჭდილ ცილისწამებაზე) სიცრუედ არის გამოცხადებული. განცხადების ავტორი მე ტელედებატებში მიწვევს და უზენაესი საბჭოს ვერსიის აქტიურ დამცველად გვევლინება.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ უკან დახევა ჩემი წესი არ არის და დიდი სიამოვნებით გავალ ტელედებატებზე არამხოლოდ ტარიელ დილიბაზაშვილთან, არამედ მიხეილ გორბაჩოვთან, პრემიერ პავლოვთან და ნებისმიერ იმ პირთან, რომელსაც ჩემი კომპრომეტირება აქვს განზრახული... ოღონდ, ეს ტელედებატები უნდა გადაიცეს პირდაპირი ეთერით და არც გადაცემის შეწყვეტა არ უნდა მოხდეს; თუ მე ეს გარანტიები არ მივიღე, ბუნებრივია, ტელედებატებზე უარს ვიტყვი, რადგანაც სრული საფუძველი მაქვს, საქართველოს ტელევიზიასა და მის ხელმძღვანელობას არ ვენდობოდე.

გიორგი ჭანტურია

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის განცხადება

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო საქართველოს მოქალაქეთა ლიგის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი მიხეილ გორბაჩოვი და მისი სახელმწიფოს იმპერიული უწყებები, შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ „აეროფლოტის“ ცენტრალური სამმართველო, ნაკლებად ფიქრობენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დაცვაზე. ასე რომ არ იყოს, სამშობლოში დაბრუნებდნენ ლატვიის მოქალაქეთა კონგრესის სესიაზე მიწვეულ საქართველოს მოქალაქეთა ლიგის მთავარი კომიტეტის წევრს სტეფანე კალაიჯიშვილს, რომელსაც აღნიშნულმა ორგანიზაციამ ლატვიის მოქალაქეთა“ კონგრესის წინაშე საქართველოს მოქალაქის პასპორტის ლეგალიზაცია დაავალა. სსრკ მოქალაქეობა ხომ 120.000-ზე მეტმა კაცმა უარყო.

ესტონეთის კონგრესმა საქართველოს მოქალაქეთა პასპორტი ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში ცნო, ხოლო ლატვიამ — წლეულს, 23 მარტს. სწორედ ამან გააღიზიანა იმპერიული ძალები და საკავშირო სუკ-ის უშუალო მითითებით 25 მარტს სტეფანე კალაიჯიშვილი საბჭოთა მილიციამ აღარ დაუშვა რიგიდან თბილისში მომავალ თვითმფრინავზე. ამ ინციდენტში სტეფანე კალაიჯიშვილის მხარდასაჭერად ჩაერია ლატვიის მოქალაქეთა კონგრესი, ლატვიის რესპუბლიკური პარტია, „ჰელსინკი-81“, ლატვიის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ახლაც ცდილობს კალაიჯიშვილისთვის ლატვიიდან გასამგზავრი ვიზის გამოწერას.

30 მარტს რიგაში, დომის მოედანზე სტეფანე კალაიჯიშვილმა საპროტესტო შიმშილობა დაიწყო. იგი მოითხოვს თბილისში დაბრუნებას, „აეროფლოტისაგან“ საჯაროდ ბოდიშის მოხდასა და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ეს აქცია ფართოდ გაშუქდა ლატვიის, საქართველოს და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. რაც უფრო გახმაურდა ეს ფაქტი, მით უფრო მეტად გაჯიუტდნენ იმპერიული უწყებები. საკითხი განსაკუთრებით პრინციპულ ხასიათს იღებს. „აეროფლოტის“ თბილისის სამმართველომ თავის მხრივ დეპეშითა და რადიოგრამით მიმართა რიგის აეროპორტის უფროსს დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ. ეს ინციდენტი ადასტურებს სსრ კავშირში მოქალაქეობის ძალდატანების აქტს. იმპერია თავის მოსახლეობას იძულებულს ხდის მოტყუებით მიიღოს სსრ კავშირის მოქალაქეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღკვეთს მისი გადაადგილების თავისუფლებას.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა აცხადებს, რომ სტეფანე კალაიჯიშვილის ხელოვნური დაყოვნება რიგაში არა მარტო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დარღვევაა, არამედ ლატვიის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმპერიის ჩარევაც. პროტესტის ნიშნად და სტეფანე კალაიჯიშვილის მხარდასაჭერად თბილისშიც დაიწყო შიმშილობა, რომელიც მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე პერმანენტულად გაგრძელდება.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა მოუწოდებს ყველა კეთილი ნების ადამიანს და განსაკუთრებით იმათ, ვინც ხელი მოაწერა სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფას, მონაწილეობა მიიღონ მიტინგებში, რომლებიც სისტემატურად „ივერიასთან“ გაიმართება ყოველდღე, 13 საათზე.

კოლეგები

აღსდგა, „ივერია“ აღსდგა!

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ივერია
IVERIA
№ 1
აღსდგა, „ივერია“ აღსდგა!
დავით აღმაშენებელი
„ივერიამ“ ტრადიცია უნდა აღადგინოს

ყოველი ქართველისათვის ასე ახლობელი და საამაყო სახელი „ივერია“ კვლავ განმეორდა ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის სახელწოდებად. მის პირველ გვერდს ამშვენებს ჩვენი სულიერი მოძღვრის დიდი ილიას პორტრეტი და მისივე უკვდავი შეგონება: „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!...“ ამ გაზეთის პირველი ნომერი მკითხველმა 28 მარტს მიიღო. და საერთოდ, იგი ხუთშაბათობით გამოვა ხოლმე. ესეც უკვდავი მწერლის ტრადიციის გაგრძელებაა — ილია ჭავჭავაძის აღიარებული ხუთშაბათობის ერთგულება. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორია ამაგდარი პროფესორი სოლომონ ხუციშვილი — ილიას შემოქმედების მკვლევარი, ქართული კულტურისა და ლიტერატურის დაუღალავი მსახური. მისივე წერილი „აღსდგა, „ივერია“ აღსდგა!“ მკითხველს მოუთხრობს გაზეთის მიზნებსა და ამოცანებზე.

„რასაკვირველია, ძნელია, — წერს ბატონი სოლომონი, — ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ გზაზე შედგომა და იმის თქმა და ისე თქმა, რომ დაახლოვებული იყოს იმ ზარიან მეტყველებასთან, ჩვენს უკვდავ წინაპარს რომ ახასიათებდა. ილია ჭავჭავაძე ხომ მთის ფერდობიდან მოწყვეტილი ზვავის ძალისა იყო და მას ხომ ყოველთვის ჰქონდა უნარი ღრმად ჭვრეტისა და წინასწარხედვისა, იგი ხომ იმას შეჰნატროდა — „შენ როსლა აყვავდებიო!“

ჩვენთვის, დიდი ილიას შთამომავლებისათვის ახლოსაა აყვავებული, თავისუფალი მამულის ხილვა- და ამ სანუკვარი ოცნების აღსრულება.

როგორც თავის დროზე ილიასეული „ივერია“ ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ერის გამოღვიძებასა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მის დარაზმვას, ისე ახლანდელი „ივერია“ უნდა იყოს თავისუფლებისაკენ, თავისთავადობისაკენ სავალ გზაზე ჩვენი ხალხის მანათობელი შუქურა.

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია საინტერესო მასალები და, რაც ყველაზე მთავარია, ილია ჭავჭავაძის წერილი „დავით აღმაშენებელი“. რედაქციის მინაწერში ვკითხულობთ, რომ „ივერიის“ პირველი ნომერი უნდა გამოსულიყო 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღეს. ამიტომ მასში დაბეჭდილი მასალები ამ მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენებს ეძღვნება. პუბლიკაციათა ავტორებია ჩვენი ცნობილი მეცნიერები და მკვლევარები — სერგო ჯორბენაძე, ნოდარ ლომოური, გიორგი ჯალაბაძე, ელგუჯა ჩადუნელი, ტარიელ სართანია, ნოდარ მინდიაშვილი, ოთარ ზარდალიშვილი, ლევი კაჭარავა. დასტამბულია მორის ფოცხიშვილის ლექსი „ივერიადა“.

გაზეთის გამომცემლები არიან დამოუკიდებელი სარედაქციო კოლეგია და კონსორციუმი „ნათელი“. ტირაჟი 20 ათასი ეგზემპლარია. სარედაქციო კოლეგია ვარაუდობს ტირაჟის გაზრდას, თუ ქართველი მკითხველი გაზეთისადმი ინტერესს გამოიჩენს.

გზა დავულოცოთ „ივერიას“, რომელმაც მიზნად დაისახა აღადგინოს ჩვენი სათაყვანო ილიას „ივერიის“ ტრადიცია.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: აღდგენილი „ივერიის“ პირველი ნომრის პირველი გვერდი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

განცხადება

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რეგიონული განყოფილებების საყურადღებოდ!

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან შექმნილია საინფორმაციო ცენტრი. კავშირის რეგიონულ განყოფილებებს ვთხოვთ ოპერატიულად მოგვაწოდონ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია.

მისამართი: 9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის) ქ. № 2. **ტელეფონი:** 99-73-61, 99-03-85.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საინფორმაციო ცენტრი.

თანამემამულენო!

9 აპრილს ეროვნული დამოუკიდებელი კინოსტუდია „+1“ და „საქკინოვიდეოგაერთიანება“ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და თელავის ცენტრალურ კინოთეატრების ეკრანებზე უჩვენებს რეჟისორ თ. ბაქრაძის კინოფილმს „გამოღვიძება“, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას ეძღვნება.

სეანსებზე დასწრება თავისუფალია.

სალაროებში ბილეთების ნაცვლად სამახსოვრო ბარათები გაიცემა.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხომარაულის ქ. № 29.
ინდექსი [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა